

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 25

თბილისი

06,07,10.10.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი (თვითაქტიულების საფუძველზე არ მონაწილეობდა პირველი საკითხის განხილვაში);

რუსუდან ტყემელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი (არ ესწრებოდა 10 ოქტომბერს განახლებულ სხდომას);

დავით კახიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურჭუშია - დირექტორის მოადგილე;

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სალომე ფრუიძე - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი; ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ფურცხვანიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

კონსტანტინე ჩოკორაია - აკრედიტაციის სამსახურის კოორდინატორი;

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს - ინტერბიზნესის კოლეჯის დირექტორი ინგა მანაშერიძე, თანამშრომლები - მერი გაბედავა, ეკა ლუაშვილი, გურამ გურგენიძე;

2. შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდერის“ დირექტორი მანანა გაბათაშვილი, თანამშრომლები - დარეჯან ივანიშვილი, ნათია მერებაშვილი;
3. შპს - „კანდიდი“ საშუალო სკოლის დირექტორი მარინე ქვრივიშვილი, თანამშრომლები - მერი ქვრივიშვილი, თამაზ ქვრივიშვილი, თამარ კობახიძე;
4. შპს - „ლამპრის“ (ს/კ: 208148930) დირექტორი თამარ მანძულაშვილი, დირექტორის მოადგილე მანანა წვენიაშვილი;
5. შპს - „ალბიონის“ (ს/კ: 200072152) დირექტორი ლუდმილა ჭანტურია;
6. შპს - „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის დირექტორი თამაზ ნაცვლიშვილი;
7. შპს - რუსთავის იურიდიულ-ეკონომიკური და უცხო ენების სწავლების სკოლა-კოლეჯ „რიესის“ დირექტორი ცისმარი გოდერძიშვილი;
8. შპს - „მწიგნობრის“ (ს/კ: 208209080) დირექტორი ანა უსტიაშვილი, თანამშრომლები - ნატა მელიშვილი, ნინო სოზიაშვილი;
9. შპს - სკოლა „ევრო-2000“-ის დირექტორები - ანზორ აბუსერიძე, მარინა ცივაძე;
10. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირის (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავდა-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის) დირექტორი ია ბაგრატიონ-მუხრანელი, თანამშრომლები - გია ჩხიკვიშვილი, ზაზა ჩიქოვანი, გიორგი გუგუშვილი;
11. ა(ა)იპ - „თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის“ დირექტორი მარინა შოსტაკი, თანამშრომლები - ლილი ადამაშვილი, ლალი აბიათარი;
12. შპს - „თამარი გარეჯელის“ დირექტორი თამარ საგინაშვილი, დირექტორის მოადგილე თამარ გოცირიძე;
13. შპს - „სხივის“ (ს/კ: 235445693) დირექტორი გია კიზირია, დირექტორის მოადგილე დავით ჯიქია;
14. სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ აღმასრულებელი დირექტორი ნანა ზურაბიშვილი, დირექტორის მოადგილე ელენე გონგაძე;
15. შპს - „გორდა“ სკოლა - ლიცეუმ „სხივის“ დირექტორი მარინა ჭაია.

ავტორიზაციის ექსპერტები:

კახაბერ ერაძე;
 ნინო ფეტვიშვილი;
 მარიამ ხუციშვილი;
 ქეთევან ბოტკოველი;
 ლიანა ჩარკვიანი;
 მაია ხურცილავა;
 კახა ჟღენტი;
 რეზო ნინუა;
 ნათია ქაჯაია;
 იანინა გიგიბერია;
 ნელი ნასყიდაშვილი;
 ნანა ჯანაშია;
 ნონა ზუმბაძე;
 ლიანა კობესაშვილი;
 მიხეილ ტეფნაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:45 სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - ინტერბიზნესის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდერის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - „კანდიდი“ საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - „ლამპრის“ (ს/კ: 208148930) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - „ალბიონის“ (ს/კ: 200072152) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - რუსთავის იურიდიულ-ეკონომიკური და უცხო ენების სწავლების სკოლა-კოლეჯ „რიესის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - „მწიგნობრის“ (ს/კ: 208209080) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - სკოლა „ევრო-2000“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირის (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - „თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - „თამარი გარეჯელის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - „სხივის“ (ს/კ: 235445693) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - „გორდა“ სკოლა - ლიცეუმ „სხივის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობები არ ყოფილა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს - ინტერბიზნესის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებიდან გამოითხოვა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის პირადი საქმეები და საგანმანათლებლო პროგრამები.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა რევაზ ხოფერიამ, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ხარვეზები დაფიქსირდა არამართო ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ნაწილში, არამედ, აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში, კერძოდ:

1. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა უნდა განხორციელდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ. ამავე დებულების მე -11 მ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს დაკავებულ თანამდებობას.

შპს - ინტერბიზნესის კოლეჯში არც ერთ პროფესორს არ აქვს კვალიფიკაცია მოპოვებული ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. მათ, ძირითადად, ხარისხი მოპოვებული აქვთ ეკონომიკის მიმართულებით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის №188 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით განიმარტა, რომ „შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია,” რაც დგინდება „აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.”

ვინაიდან აკადემიური ხარისხით არ დგინდება შპს - ინტერბიზნესის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამასთან, ცენტრმა დამატებით გამოიკვლია მათ მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებთან დაკავშირებული გარემოებები. კერძოდ:

პროგრამის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი გურამ გურგენიძე, რომელიც ასწავლის 7 საგანს, პირად საქმეში უთითებს, რომ მას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო შრომა, რომელთაგან სამეცნიერო შრომა - „საბანკო ინოვაციები, როგორც ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ზრდის საშუალება” გამოქვეყნებულია უნივერსიტეტ „რვალის” 2009 წელს გამოცემულ შრომათა კრებულში (UDC (უაკ) 378 (479.22) (051.2) 2-57; ISSN 15124585), ხოლო სამეცნიერო შრომა - „საქართველოს საბანკო სისტემაში ინოვაციების როლი და ადგილი” გამოქვეყნებულია უნივერსიტეტ „გორგასლის” 2009 წელს გამოცემულ შრომათა კრებულში (უაკ (UDC) 001.89 b-492; ISSN 1987-7994). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და საჯარო ბიბლიოთეკიდან გამოითხოვა აღნიშნული შრომები და დაადგინა, რომ სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო შრომათა კრებულში პროფესორს სხვადასხვა სათაურით გამოქვეყნებული აქვს ერთი და იგივე (იდენტური) შინაარსის „სამეცნიერო კვლევა.”

ამასთან, უნივერსიტეტ „რვალის” მიერ გამოცემულ შრომათა კრებულში გურამ გურგენიძესთან ერთად თანავტორებად მითითებულნი არიან ბ-ნი გიორგი ბოლოკაძე და ბ-ნი ნიკოლოზ სარალიძე.

უნივერსიტეტი „გორგასლის“ შრომათა კრებულში კი ნაშრომის ავტორად მითითებულია მხოლოდ - გურამ გურგენიძე.

2. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

შპს - ინტერბიზნესის კოლეჯი ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო (საბაკალავრო) პროგრამას.

პროგრამის მიხედვით, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა არის 19 კვირა. აქედან 15 კვირა არის სასწავლო-სააუდიტორიო, ხოლო 4 კვირა - სასესიო. სილაბუსების მიხედვით, სტუდენტის დატვირთვა გაწერილია 17 კვირა ზე. დასკვნითი გამოცდა კი ტარდება მე-18 და მე-19 კვირაში. საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების მიხედვით, სტუდენტი დასკვნითი გამოცდის გადასაბარებლად გადის სემესტრის დამთავრებიდან 10 დღის შემდეგ. დაწესებულების მიერ დადგენილი აღნიშნული რეგულირება ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტს, რომლის მიხედვითაც სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (ტრიმესტრში). დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების თანამშრომელმა, მერი გაბედავამ საბჭოს წევრებს გააცნო მასალები, რომლებშიც ასახული იყო შპს - ინტერბიზნესის კოლეჯის პერსონალის მიერ ჩატარებული მცირე მოკვლევა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის მიმართულების პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შესახებ. კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული დაწესებულებების ვებგვერდებიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, მათ გააკეთეს შედარებითი ანალიზი. სამ შემთხვევაში (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის ეკონომიკის ან ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე პირი. დანარჩენი ორი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის კატალოგში მითითებული არ არის პროგრამის ხელმძღვანელი ან საკონტაქტო პირი. გამოკვლევის შედეგად, შპს - ინტერბიზნესის კოლეჯმა დაადგინა, რომ შპს - თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას ახორციელებს აკადემიური პერსონალი, რომლებიც დაკომპლექტებულია ეკონომიკის დოქტორის, მაგისტრისა და ბაკალავრის ხარისხის მქონე პირთაგან.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, როდესაც მათ შექმნეს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა, იხელმძღვანელებს ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ ცენტრის დირექტორის ბრძანებით, სადაც ცალსახად წერია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსის მიერ, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მკვლევარი, მოწვეული პერსონალი. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დგინდება აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით. ანუ, კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, კანონქვემდებარე აქტი არ აკეთებს აპელირებას მხოლოდ აკადემიურ ხარისხზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა მხარეს, რომ აკადემიური ხარისხის ქონა არ არის ერთადერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი, თუმცა, დასძინა, რომ ცენტრსაც მსგავსი პოზიცია ჰქონდა. სწორედ ამიტომაც გამოიკვლია სხვა გარემოებებიც და სთხოვა მხარეს, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია სამეცნიერო შრომებთან (სტატიებთან) დაკავშირებულ საკითხებზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მერი გაბედავამ განაცხადა, რომ ის არ იყო პროფესიით ეკონომისტი, შესაბამისად, ვერ გამოთქვამდა რაიმე მოსაზრებას აღნიშნულთან დაკავშირებით და ამავე მიზეზით ექვეყნებდა დააყენა ცენტრის წარმომადგენლის რევაზ ხოფერიას პოზიცია. მისი თქმით, პროგრამის ხელმძღვანელი არის ბატონი გურამ გურგენიძე და ავტორიზაციის საბჭოს ის მიაწვდის ინფორმაციას, თუ რამდენად სწორია ბატონი რევაზ ხოფერიას განცხადებები.

მერი გაბედავამ ასევე აღნიშნა, რომ მსგავს მდგომარეობას ითვალისწინებს პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტები, და, შესაბამისად, საკითხის განხილვა ამ ეტაპზე აქტუალური არ უნდა ყოფილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ გამოეთქვა მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

მერი გაბედავას განმარტებით, ყველა სილაბუსს აქვს ერთიანი სტანდარტი და მათში გაწერილია პროგრამა 17 კვირაზე, აგრეთვე, გამოტანილია შუალედური გამოცდები. გარდა ამისა, მერი გაბედავამ ასევე აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ ორგანიზებულ რეინინგებზე, რომელიც მოეწყო ბაკურიანში, ცალსახად ითქვა, რომ დამატებითი გამოცდა არ არის ყველასათვის სავალდებულო, ხოლო 19-კვირიანი სემესტრი გათვლილია საშუალო მოსწრების სტუდენტზე. აღნიშნული ინფორმაცია, კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, გაზიარებული იქნა მათ მიერ, რადგან ცენტრის მიერ მიწოდებული ინფორმაციით დამატებითი გამოცდები შესაძლებელი იყო გადასულიყო შემდეგ სემესტრში და თხოვნით მიმართა ცენტრს, რომ კონკრეტული საკითხებისადმი არსებობდეს ერთგვაროვანი მდგომარეობა, რადგან დაუშვებელია ორმაგი სტანდარტის არსებობა. მერი გაბედავამ ასევე აღნიშნა, რომ თუ 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის არის ნებადართული ეს ყოველივე, არ უნდა დაიჩაგროს შპს - ინტერბიზნესის კოლეჯი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა დაეხუსტებინა, როდესაც აღნიშნული 5 უმაღლესი სასწავლებელი იქნა შესწავლილი მათ მიერ, ადამიანური რესურსი გადამოწმდა თუ არა ზემოთხსენებული ყველა კრიტერიუმის შესწავლით, კერძოდ, გაეცნენ თუ არა ისინი აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სტატიებსაც.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ სტატიები არ უნახავთ, რადგან მხოლოდ ვებგვერდზე მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს განთავსებული სტატიები და აღნიშნა, რომ ამავე უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას ახორციელებს ბიოლოგიის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

დაწესებულების იურისტ-კონსულტანტმა, ეკა ლუაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები არ იყვნენ ინფორმირებულნი, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით იქნებოდა განხილული რაიმე საკითხი, რადგან დაგეგმილი იყო მხოლოდ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ადამიანური რესურსის გადამოწმებისას ცენტრს ჰქონდა უფლება შეემოწმებინა პროგრამული ნაწილი, თუ მას ეს დასჭირდებოდა, რადგან ეს ორი სტანდარტი ურთიერთკავშირშია.

დაწესებულების წარმომადგენელმა იკითხა, არსებობდა თუ არა რაიმე სტანდარტი, რომელიც დააკონკრეტებდა, თუ რამდენი სტატია უნდა ჰქონოდა პროფესორს გამოქვეყნებული. თუ პროგრამის ხელმძღვანელს ერთ სტატიას არ უთვლიდა ცენტრი, მაშინ დანარჩენი 5 ხომ კვლავ გამოქვეყნებულად რჩებოდა და ამას ემატებოდა პირის პროფესიული გამოცდილებაც.

საბჭოს წევრმა, ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, რომ საბჭო განიხილავდა ე. წ. „პლაგიატის შემთხვევას“. მან მხარეს განუმარტა, რომ საბჭო მსჯელობდა აკადემიური კეთილსინდისიერების

პრინციპზე. მისი აზრით, არც ერთ მათ მიერ გამოკვლეულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ მოიძებნება პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ერთი და იგივე სტატია ორ ჟურნალში, სხვადასხვა ავტორების მითითებით ექნებოდა გამოქვეყნებული.

დაწესებულების იურისტ-კონსულტანტის, ეკა ლუაშვილის განცხადებით, საჭიროა განიმარტოს სიტყვა პლაგიატი და ითვლება თუ არა სტატიის სხვადასხვა სათაურით გამოქვეყნება პლაგიატად. მან განაცხადა, რომ ნაშრომის სხვადასხვა სათაურით გამოქვეყნება არ არის პლაგიატი.

შპს - ინტერბიზნესის კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, საბჭოზე უნდა მოხდეს დაწესებულების საქმიანობის კონკრეტულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, რომელიც სახელმწიფომ განუსაზღვრა საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებლებს. მისი განმარტებით, აღნიშნული ფაქტი უნდა გახდეს მათთვის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომ იფიქრონ და იმუშაონ, რათა პროგრამა უკეთესი გახდეს, მაგრამ თუ რომელ სტანდარტს ეწინააღმდეგება აღნიშნული, მათთვის ბუნდოვანია.

ამასთან, დაწესებულების იურისტ-კონსულტანტი, ეკა ლუაშვილი დაეთანხმა საბჭოს წევრს, ლალი ღოღელიანს, და აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც ადამიანისთვის ეს შემთხვევა მორალურად მიუღებელია, თუმცა, ასევე განმარტა, რომ შესაბამისი სამართლებრივი რეგულირება არ არსებობს, რომელიც კრძალავს პლაგიატს.

საბჭოს წევრის, ლალი ღოღელიანის განმარტებით, აღნიშნული შემთხვევა ადამიანური რესურსის სტანდარტის დარღვევაა.

საბჭოს წევრის, ლალი ღოღელიანის განმარტებით, აღნიშნული შემთხვევა ადამიანური რესურსის სტანდარტის დარღვევაა; აღნიშნულ მოსაზრებას საბჭოს თავმჯდომარე არ დაეთანხმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ინტერბიზნესის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ინტერბიზნესის კოლეჯს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

2. შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდერის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულება 2007 წლის 8 იანვრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 594 კვ. მ. ფართს, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ბაბუციძის ქ. N12-ში (ყოფილი მარელისის ქ. N12). თუმცა სკოლას თვითშეფასების კითხვარში მითითებული აქვს 600 კვ. მ. ნაცვლად 594 კვ. მ.-ისა. იჯარის ვადად განსაზღვრულია 5 (ხუთი) წელი და ხელშეკრულება მოქმედებს 2012 წლის 8 იანვრის ჩათვლით;

1.2 სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია, თუმცა დირექციამ წარმოადგინა შპს - „ინსტა-ჯორჯიასთან“ 2011 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული მომრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, გამყიდველი იღებს ვალდებულებას საკუთრებაში გადასცეს მყიდველს (სკოლას) ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობა, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 სამუშაო დღისა;

1.3 დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტის დროს არ გააჩნდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება პანდუსის დამზადება-დამონტაჟების შესახებ;

1.4 სკოლას აქვს დომეინური სახელი - <http://www.skolamodzgvari.ge/>, თუმცა ვებგვერდი დამუშავების პროცესშია და ამჟამად არ ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას;

1.5 სკოლას აქვს უსაფრთხოების კამერები, თუმცა ისინი ვერ აკმაყოფილებენ „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლამ საექსპერტო ვიზიტის დროს 2011 წლის 23 სექტემბერს გააფორმა ხელშეკრულება შპს „სერვის კომპანიასთან“ შესაბამისი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის შესყიდვისა და მონტაჟის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ფართთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების კითხვარის შევსების დროს გაიპარა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, შესაბამისად, ექსპერტთა შენიშვნა სამართლიანია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განმარტება ლაბორატორიასთან დაკავშირებით და დაზუსტება, თუ რამდენად უშლიდა ლაბორატორიის არარსებობა ხელს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.

თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საბჭო ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს ავტორიზაციის მაძიებლის მიერ არაარსებითი ხარვეზების გამოსწორების ფაქტი. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, დაწესებულებები ბოროტად იყენებენ საბჭოს ნდობას და ავტორიზაციის მიღების შემდეგ არ ასრულებენ მათ მიერვე გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს. აქედან გამომდინარე, საბჭოსათვის ხელშეკრულება აღარ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას და აუცილებელია დამატებით ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესასყიდი მომსახურების, საქონლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ლაბორატორიის არარსებობა გარკვეულწილად უშლის ხელს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ამასთან, მის მიერ წარმოდგენილია როგორც ხელშეკრულება, ასევე გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

საბჭოს თავმჯდომარე გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას და საბჭოს განუმარტა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, მთლიანად გადასახდელი თანხა შეადგენდა 13 8000 ლარს, დაწესებულების მიერ 21 სექტემბერს გადახდილი იყო 4 500 ლარი, ხოლო 29 სექტემბერს - 2 400 ლარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, იგი ვალდებულია სრულად გადაიხადოს თანხა 2011 წლის 20 ოქტომბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკისრება ჯარიმა ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და სარწმუნოდ მიიჩნია დაწესებულების მიერ ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პანდუსების დამონტაჟებასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმება მოხდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, თუმცა დადასტურების მიზნით, სხდომაზე მოხდა პანდუსების დამონტაჟების ამსახველი ფოტომასალის წარმოდგენა.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს დაედასტურებინათ, რომ ფოტოზე ასახული იყო შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდერის“ შენობა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ფოტომასალა და დადასტურდა აღნიშნული ფაქტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვებგვერდთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლას გააჩნია დომეინური სახელი, თუმცა ვებგვერდი დამუშავების პროცესშია.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ავტორიზაციის მაძიებელს, ასრულებდა თუ არა ვებგვერდი მოცემულ პერიოდში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ვინაიდან სკოლა გეგმავს ვებგვერდზე ელექტრონული ჟურნალისა და სხვა მსგავსი მასალის განთავსებას, რასაც შესაბამისი დრო სჭირდება, ვებგვერდი ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და არ ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვიდეოკამერებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო ამ დრომდე ვერ მოხერხდა შესასვლელში ვიდეოკამერის დამონტაჟება.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გადახდილი ჰქონდა თუ არა მას ვიდეოკამერების შესყიდვა-დამონტაჟების საფასური.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ვინაიდან ბოლო კამერა ჯერ არ იყო დამონტაჟებული, მას საფასური გადახდილი არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე საბჭო ვერ მიიჩნევდა სარწმუნოდ ვიდეოკამერების არსებობის ფაქტს, ვინაიდან არსებობდა ალბათობა, რომ ავტორიზაციის მიღების შემდეგ, დაწესებულება არ შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლის თითოეულ საკლასო ოთახში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერები.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ პეტრე წურწუმიამ განმარტა, რომ ვიდეოკამერების არსებობის პარალელურად, აუცილებელია ვიდეოკამერების პარამეტრები შესაბამისობაში იყოს „ზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ შენიშვნა 1.3 მოხსნილი იყო, თუმცა სხვა შენიშვნებთან მიმართებაში, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებები არ იყო საკმარისი და მაინც რჩებოდა გარკვეული კითხვის ნიშნები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდვარის“ შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდვარის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - დამოუკიდებელ სკოლა „მოდვარს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

3. შპს - „კანდიდი“ საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლაში ამ ეტაპზე სწავლობს 311 მოსწავლე. სკოლას აქვს 136 ინდივიდუალური მერხი და 93 ორადგილიანი მერხი. სტანდარტის დასაკმაყოფილებლად სასწავლებელს აკლია 175 ინდივიდუალური მერხი. სკოლამ წარმოადგინა ი/მ პაატა მაჩხაშვილთან გაფორმებული მომსახურების ორი ხელშეკრულება 100 და 75 ინდივიდუალური მერხის დამზადების შესახებ. სკოლის დირექციის განმარტებით, აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, მერხები დამზადების პროცესშია და სექტემბრის ბოლოს სკოლა სრულად იქნება უზრუნველყოფილი ინდივიდუალური მერხებით.

1.2 სკოლაში ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია 14³⁰-16³⁰სთ-ებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, სკოლას ჰქონდა 2-ადგილიანი მერხები და შესაბამისად, მოსწავლეები ინდივიდუალურად არ ისხდნენ. ხელშეკრულებების საფუძველზე არსებული 2-ადგილიანი მერხები გადაკეთდა და სკოლას, ამ ეტაპისათვის, 76 გადაკეთებული, ხოლო 136 - შესყიდული ინდივიდუალური მერხი აქვს. ამასთანავე, 100 მერხი დამზადების პროცესშია. ხელშეკრულებაში მერხების დამზადების ვადა არ არის მითითებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, სკოლას 267 მერხი გამოსდიოდა, 136 ინდივიდუალური მერხი, 93 ორადგილიანი მერხის ნაწილის გამოყენებით დამზადებული 76 გადაკეთებული ინდივიდუალური მერხი და გადასაკეთებლად გამიზნული 55 ორადგილიანი მერხი, თუ ჩავთვლით, რომ ორადგილიანი მერხი ერთი მოსწავლისათვის არის განკუთვნილი, როგორც ამას სტანდარტი მოითხოვს. აღნიშნული რაოდენობა საკმარისი მაინც არ არის რეალურად 311 მოსწავლის ინდივიდუალური განთავსებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მერხების რაოდენობის პრობლემა სკოლას არ გააჩნდა. ეს ის რაოდენობაა, რომელთა ფლობაც სკოლამ ანგარიშფაქტურებით დაადასტურა, მაგრამ რეალურად, სკოლა უზრუნველყოფდა 311 მოსწავლის განთავსებას. ამას სკოლაში არსებული ე. წ. შეჭრილი ცვლაც ხელს უწყობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა აღნიშნული ინფორმაციის დადასტურების მიზნით. ექსპერტმა, კახა ჟღენტმა, აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებული რაოდენობის გარდა, მათ სხვა მერხები არ უნახავთ.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ თუ ერთ მერხთან ორი ბავშვი დაჯდება, მაშინ რაოდენობის პრობლემა არ იქნება, მაგრამ რადგან სტანდარტი ითვალისწინებს ერთადგილიანი მერხების ფლობას, მაშინ ადგილები საკმარისი აღარ რჩება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, 75 მერხი გადაკეთდა, ხოლო 100 მერხი დამზადების პროცესშია. არსებობს ხელშეკრულებები, რომლებიც ექსპერტებმაც აღნიშნეს დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა გადახდა განხორციელებული აღნიშნული 100 მერხის დამზადების სანაცვლოდ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჯერ არ იყო გადახდილი 100 მერხის დამზადების საფასური.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება რეალურად ადასტურებს, რომ აქვს სტანდარტის შესაბამისი 211 მერხი. დარჩენილი რაოდენობა კი არ შეესაბამება სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგთან დაკავშირებულ შენიშვნაზე მოსაზრებების გამოთქმა.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა განაცხადა, რომ მსგავსი განრიგი შემუშავდა იმ მიზნით, რომ ბოლო გაკვეთილის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ბიბლიოთეკით სარგებლობა.

დავით კახიაშვილის განცხადებით, კერძო სკოლას იმის უფლება აქვს, რომ თავად დაადგინოს ბიბლიოთეკით სარგებლობის დრო, მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

ლალი ღოღელიანმა სთხოვა სკოლის წარმომადგენლებს, განემარტათ, თუ რას გულისხმობდნენ შეჭრილ ცვლაში და იყო თუ არა დროში ცვალებადი სხრილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უფროსკლასელები სწავლას მეორე ცვლაში იწყებენ. ამ შემთხვევაში მერხები საკმარისია.

20:53 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 21:15 საათზე.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 350 მოსწავლის მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა მერხების რაოდენობა, კერძოდ, 136 ინდივიდუალური მერხს, რომელიც სკოლას გააჩნდა, დაემატა 76 ინდივიდუალური მერხი, რომელიც 38 ორადგილიანი მერხიდან გადაკეთდა. სკოლას ჰქონდა 93 ორადგილიანი მერხი. ამ რაოდენობას გამოაკლდა გადაკეთებული 38 მერხი და დარჩა 55 ორადგილიანი მერხი, რომელსაც საბჭო თვლის, როგორც ერთადგილიანს. შესაბამისად, 136 ინდივიდუალური მერხს ემატება 76 გადაკეთებული ინდივიდუალური მერხი და 55 ორადგილიანი მერხი და გამოდის 267 მერხი.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურჭუმიამ აღნიშნა, რომ სკოლას ინდივიდუალური მერხების რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 267 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „კანდიდი“ საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 267-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „კანდიდი“ საშუალო სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 267-ით.

4. შპს - „ლამპრის“ (ს/კ: 208148930) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომლებმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, კალაუზნის ქ. №10-ში (974.58 კვ. მ.). შენობა 3-სართულიანია და წარმოადგენს შპს - „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ საკუთრებას. მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება სკოლის მიერ დაკავებული ფართის (მე-2 და მე-3 სართული და ეზოს ნაწილი) შესყიდვაზე. ჯერ-ჯერობით კი ეს ფართი გადმოცემულია სკოლის სარგებლობაში შეტანილი ბეს საფუძველზე. ცენტრის მიერ შემოწმებულ იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელშიც შპს - „ლამპრის“ მიერ ფართით სარგებლობის უფლება არ ფიგურირებს.

1.2 სკოლას აქვს 85 კვ. მ. ფართობის სპორტული დარბაზი. გარდა თავის მიერ შეძენილისა, სკოლას აქვს თბილისის ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრისაგან მიღებული აქვს 20 დასახელების სპორტინვენტარი. სკოლაში არის ველოტრენაჟორი და სარბენი ბილიკის ტრენაჟორი, შვედური კედელი, ჭადრაკის სადემონსტრაციო მაგნიტური დაფა თავისი ფიგურებით, ორი ჩოგბურთის მაგიდა. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს მერიის კუთვნილი ღია სპორტული მოედანი, რომლის გამოყენებაზე ნებართვის ასაღებად ექსპერტთა ვიზიტის დროს მიდიოდა მოლაპარაკება.

1.3 სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისათვის საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობები ბიოლოგიაში - 26 ერთეული, ფიზიკაში - 34, ქიმიაში - 40, საერთო დანიშნულების - 76. სულ - 176 ერთეული.

1.4 შენობაში არის შპს „ჯესკო ჯგუფის“ მიერ დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. ხოლო შენობის გარე პერიმეტრისთვის და დერეფნების გასაკონტროლებელი 3 ვიდეოკამერის შემენაზე გაფორმებულია ხელშეკრულება შპს "გლობალ ელექტრონიქსთან" და გადარიცხულია თანხის 45%.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა შპს - „ლამპრის“ ქ. თბილისში, კალაუზნის ქ. №10-ში (974.58 კვ. მ.) მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2, მე-3 სართულები და ეზოს ნაწილი საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული. დაწესებულების დირექტორმა თამარ მანძულაშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრში ასეთი ჩანაწერი არ არსებობდა, შესაბამისად, საჯარო რეესტრის ამონაწერით ვერ დგინდებოდა შპს - „ლამპრის“ მიერ ამ ფართის საკუთრების ან სარგებლობის უფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ამ შემთხვევაში შპს - „ლამპრის“ იურიდიულად ფართი არ გააჩნდა, სადაც იგი ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში განახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობასთან ფართის შესყიდვის თაობაზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ

ავტორიზაციის საბჭო ვერ ივარაუდებდა წინასწარ, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მთავრობა შპს - „ლამპართან“ დაკავშირებით.

თამარ მანძულაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა საკითხის განხილვის გადადების თაობაზე. კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ სანამ საბჭოს დღის წესრიგს დამტკიცებდნენ მან დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა. დაწესებულების წარმომადგენლებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ დაუფიქსირებიათ.

თამარ მანძულაშვილმა აღნიშნა, რომ 2011 წლის 6 ოქტომბერს მათ შემოიტანეს ცენტრში საკითხის განხილვის გადადების თაობაზე შესაბამისი შუამდგომლობა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ავტორიზაციისა და ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დაწესებულების ავტორიზაციის მამიებლად ცნობიდან 90 დღის განმავლობაში. შპს - „ლამპრის“ საკითხის განხილვის გადადება კი გამოიწვევდა აღნიშნული 90 დღიანი ვადის დარღვევას.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ პეტრე წურწუმიამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების 90 დღიანი ვადა ფაქტიურად ამოწურული იყო. ცენტრმა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინა შპს - „ლამპრის“ ინტერესები და სწორედ ამიტომ იქნა გამოტანილი ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაწესებულების ავტორიზაციის საკითხი 90-დღიანი ვადის ბოლოს. შესაბამისად, საკითხის განხილვის გადადება გამოიწვევდა აღნიშნული 90-დღიანი ვადის დარღვევას. დირექტორის მოადგილემ განმარტა, რომ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შემდგომში ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება შემდგომში ეგზავნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. აღნიშნული პროცედურა შესაძლებელია გაგრძელებულიყო რამდენიმე კვირა. შესაბამისად, შპს - „ლამპრის“ შუამდგომლობას საკითხის 1 კვირით საკითხის გადავადების თაობაზე აზრს იყო მოკლებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ლამპრის“ შუამდგომლობა საკითხის განხილვის გადადების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლამპრისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ლამპრის“ უარი ეთქვას ავტორიზაციის მინიჭებაზე.

5. შპს - „ალბიონის“ (ს/კ: 200072152) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წარუდგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულება ფაქტობრივად ფლობს ორ ფართს, მისამართებზე: ქ. სენაკი, ცოტნე დადიანის №27 (204,1 კვ. მ) და ქ. სენაკი, ზვიად გამსახურდიას ქ. №94 (227,4 კვ. მ.). აღსანიშნავია, რომ ორივე შენობა წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს. ორივე მათგანთან დაკავშირებით სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შენობის მესაკუთრეებთან, თუმცა, ხელშეკრულებები არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ვიზიტის დროს დაიწყო წარმოება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სენაკის სარეგისტრაციო სამსახურში, უძრავ ნივთზე ქირავნობის უფლების წარმოშობის რეგისტრაციის მიზნით.

1.2 ზოგი საკლასო ოთახის ფართი ძალიან მცირეა, ზოგ ოთახში არის სამი მაგიდა და სკამი (სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ჰყავთ მცირეკონტინგენტიანი კლასები). ერთ საკლასო ოთახს აქვს არასასურველი განლაგება, მასში მოსახვედრად აუცილებელია სხვა საკლასო ოთახის გავლა. ასევე, ბიბლიოთეკაში მოსახვედრად აუცილებელია საკლასო ოთახის გავლა. დაწესებულების მეორე ფართი (ზ. გამსახურდიას ქ. №94) გარდა აუცილებელი სასკოლო ინვენტარისა, აღჭურვილია საოჯახო ავეჯით, სამიწებლის კარადებით, სველი წერტილში მოთავსებულია სარეცხი მანქანა. აღნიშნული ინვენტარი არ ირიცხება დაწესებულების ინვენტარიზაციის ნუსხაში.

1.3 სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, აუზი, ან მოედანი, თუმცა, დადებული აქვს ხელშეკრულება სენაკის მუნიციპალიტეტთან. ხელშეკრულების საგანია ქ. სენაკში, რუსთაველის ქ. №213-ში მდებარე სპორტული დარბაზით სარგებლობა, რომელსაც სკოლა იყენებს სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად. ხელშეკრულების მიხედვით, სკოლას შეუძლია სპორტული დარბაზით ისარგებლოს კვირაში ერთხელ, პირველიდან ორ საათამდე. სკოლას სპორტის სახეობად არჩეული აქვს სპორტული ცეკვა და ფეხბურთი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა ასევე სარგებლობს ახლოს მდებარე ღია სპორტული მოედნით, რაც დოკუმენტურად არ დასტურდება.

1.4 სკოლას აქვს ოთახი, ქიმია-ფიზიკა - ბიოლოგიის სწავლებისათვის საჭირო ლაბორატორია, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ცენტრის რეკომენდაციებს და საჭიროებს შევსებას.

1.5 გათბობის საშუალებებად, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, იყენებენ შეშის ღუმელებს, ხოლო სამასწავლებლო და ერთი საკლასო ოთახი თბება ელექტრო ღუმელით.

1.6 ბიბლიოთეკას არ აქვს დებულება, არ არის შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკის ფუნქციას ითავსებს სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომელიც, იმავდროულად, საქმისმწარმოებელიცაა. წიგნების გატანა შეიძლება 2 სთ-ის შემდეგ, ან დასვენებებზე.

1.7 დაწესებულების სველი წერტილი არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის.

1.8 დაწესებულების მეორე ფართზე (ქ. სენაკი, ზ. გამსახურდიას ქ. №94) არ არის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და არც ევაკუაციის გეგმა.

1.9 ვიზიტის დროს მიმდინარეობდა მოლაპარაკება შპს - „ჯეო დეკორთან“ ვიდეო სამეთვალყურეო მოწყობილობის კომპლექტის შესყიდვის თაობაზე, რის შესახებაც დაწესებულების მხრიდან ხელი მოეწერა ხელშეკრულებას. თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ვიზიტის დროს წარმოდგენილი არ იქნა.

1.10 დაწესებულებაში არ მიმდინარეობს ხელშეკრულებების აღრიცხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით 11-თვიანი ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა მეუღლესთან და ყოველი ვადის ამოწურვისთანავე ახალ ხელშეკრულებას დებდა. საჯარო რეესტრში აღნიშნული არ დარეგისტრირებულა, რადგან ის მოთხოვნები, რაც წარმოების დასაწყებად არის საჭირო, მაგალითად შენობის აზომვითი ნახაზები, სკოლისათვის რთულად შესასრულებელი იყო და ხელშეკრულების ვადის გათვალისწინებით, რეესტრში აღნიშნული უფლების დარეგისტრება დაწესებულებას აუცილებლობად არ მიაჩნდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, რითაც დაადასტურა ქირავნობის ხელშეკრულების დარეგისტრირების ფაქტი. აღნიშნული მონაცემები გადამოწმდა და დადასტურდა ცენტრის მიერაც.

საკლასო ოთახების ფართთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ არსებობს სტანდარტი, რომელიც დაადგენდა, თუ რა სიდიდის ოთახები უნდა იყო სკოლებში.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ზოგ კლასში 3-4 მოსწავლე არის და შესაბამისად, მათი ფართით უზრუნველყოფის პრობლემა არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ რამდენი მოსწავლე ყავდა სკოლას. დირექტორის განმარტებით სკოლაში 87 მოსწავლეა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ მამიებლის ინტერესებიდან გამომდინარე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ექსპერტთა ვიზიტის დროს მაინც ყოფილიყო სასკოლო გარემო შექმნილი და საოჯახო ინვენტარი ექსპერტებს არ ენახათ. სკოლის დირექტორმა წარმოადგინა ფოტოსურათები, სადაც ჩანს, რომ აღნიშნული სარეცხი მანქანა მოხსნილია, ხოლო კარადები გამიზნულად არ იქნა გატანილი სკოლის შენობიდან, რადგან შემოდგომის პერიოდში მოსწავლეებს ჰქონოდათ მათით სარგებლობის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ის დრო, როდესაც სკოლები და უნივერსიტეტები სარდაფებსა და სადარბაზოებში იყო გახსნილი, დამთავრდა. ქვეყნის პოლიტიკა ისეა მიმართული, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ იყოს და სწორედ ამისათვის შეიქმნა სტანდარტები. მისთვის გაუგებარია საძინებელი, სასტუმრო და სხვა გარნიტურების დანიშნულება სასკოლო პროცესში.

დავით კახნიაშვილმა იკითხა, რომ იმ სახლში ცხოვრობდა თუ არა დირექტორი, სადაც სკოლა იყო განთავსებული.

სკოლის დირექტორის განმარტებით, საცხოვრებლად გამოიყენება სახლის პირველი სართული, ხოლო სკოლა მეორე სართულზეა განთავსებული, რომელიც სრულიად იზოლირებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, მიეცა განმარტება ოთახების არასასურველ განლაგებაზე.

ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული ხარვეზი ეხება მეორე შენობას, რომელიც სრულად დათმობილია სკოლისათვის. გამავალი ოთახი რომელიც იყო, იქ გადატანილი იქნა ბიბლიოთეკა და დარჩა ერთი ოთახი, რომელსაც, ექსპერტის მოსაზრებით, სავარაუდოდ, ვერაფერს მოუხერხებენ კერძო სახლის სპეციფიკიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, მხოლოდ 2-ადგილიანი მერხები ჰქონდა სკოლას თუ არა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლას ჰქონდა როგორც 2-ადგილიანი, ისე ინდივიდუალური მერხები.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, 2-ადგილიან მერხებზე თითო ბავშვი იჯდა, თუ არა.

სკოლის დირექტორის განმარტებით, 2-ადგილიან მერხებზე 2 ბავშვი ჯდება.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სკოლის წარმომადგენელს მიეცა განმარტება, სპორტული დარბაზით სარგებლობის გრაფიკთან დაკავშირებული ხარვეზის შესახებ.

სკოლის დირექტორის განმარტებით, ექსპერტებს შეცდომა გაეპარათ, რადგან სპორტული დარბაზით კვირაში 2 საათით, 12-დან 14 საათამდე, სარგებლობს სკოლა და წარმოადგინა დოკუმენტი, რითაც დადასტურდა ზემოაღნიშნული.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული ხარვეზი ეხება ღია მოდენას, ხოლო 2-საათიანი გრაფიკი დახურულ მოედანზე ვრცელდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მოხსნა აღნიშნული ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შემის ღუმელების გათბობის საშუალებად გამოყენებაში პრობლემას ვერ ხედავს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სკოლის დირექტორს ლაბორატორიებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე კომენტარის გაკეთება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა ფლობს სოლიდურ ინვენტარს და აღნიშნა, რომ კომპანია "ინსტა-ჯორჯიას" მიმართა იმ ინვენტარის შესაძენად, რომელიც აკლია ლაბორატორიას, რაზეც უარი მიიღო, რადგან კომპლექტის დაშლა არ შეიძლება. სკოლა გეგმავს შეიძინოს აღნიშნული 208 ერთეული.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ამ ეტაპისათვის სკოლას არ ჰქონდა ლაბორატორია.

სკოლის დირექტორის განმარტებით, ლაბორატორია არის, მაგრამ არასრული.

ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის შესახებ ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლას საბჭოს წარუდგინა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ აღნიშნული ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ გამოსწორდა. სკოლის დირექტორი დაეთანხმა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ევაკუაციის გეგმა გამოიკრა, ხოლო ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი სკოლამ უკვე შეიძინა და წარმოადგინა შესაბამისი ხელშეკრულება და განაცხადა, რომ კვირის ბოლოსათვის მოხდება მიწოდება.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა შპს - „ჯეო დეკორთან“ გაფორმებული ხელშეკრულება და გადახდის ქვითარი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 3090 ლარიდან გადახდილია 400 ლარი. აღნიშნული თანხა, მისი განმარტებით, არ უქმნის იმის ვარაუდს, რომ სკოლა შეიძენს აღნიშნულ კომპლექტს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, 400 ლარი სკოლისთვის ცოტა თანხა არ არის.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ზოგი დაწესებულების ქმედება საწინააღმდეგოს ფიქრის საშუალებას აძლევს.

ხელშეკრულებების აღრიცხვასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მთავარია ძირითადი დოკუმენტაცია, როგორცაა შემოსული და გასული კორესპონდენციები, მათი აღრიცხვა მიმდინარეობდეს. ხოლო თუ ყველა ხელშეკრულება ადგილზე იყო, მაშინ პრობლემას ვერ ხედავს.

ანა კლდიაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს შპს - „ჯეო დეკორთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ვიდეოსამეთვალყურეო მოწყობილობის კომპლექტი სკოლის ერთი შენობისთვის არის განკუთვნილი, თუ ორივესათვის.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული მხოლოდ სკოლის ერთი შენობისთვისაა განკუთვნილი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ზოგადად, მიდგომა, სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც არის განსაზღვრული კოლეგიალური თუ დამოუკიდებელი ორგანოსათვის ავალდებულებს მათ დაემორჩილონ დადგენილ ძირითად პრიორიტეტებსა და მიმართულებებს.

განათლების სფერო არის პრიორიტეტული სახელმწიფოს მიერ და მასში არ არის ადგილი ძველი მიდგომებისა და პირობებისა. საგანმანათლებლო მიზნებისათვის არადაპტირებულ გარემოში, თუდაც ძალიან ფეშენებელურ კერძო სახლში იყოს საგანმანათლებლო დაწესებულება მიუღებელია. საბჭოს თავმჯდომარის შეფასებით, ეს არის სახელმწიფოს პოლიტიკიდან გადახვევა. საბჭოს თავმჯდომარე ითვალისწინებს, რომ ეს არის რეგიონი, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკა არის ესეთი, რომელიც ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ალბიონის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ალბიონს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

6. შპს - „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა შპს - „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 I-VI კლასის სახელმძღვანელოები გრიფირებულია, გარდა ინგლისურისა და რუსულისა. ინგლისურში წარმოდგენილია მაიკლ ლაინის სახელმძღვანელო, ხოლო რუსულში – გამოცემილობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემული სახელმძღვანელო. აღნიშნული სახელმძღვანელოები წელს გრიფირებული აღარ არის. სახელმძღვანელოების ჩამონათვალი წარმოდგენილი არ არის რუსული სექტორისათვის გრიფირებული სახელმძღვანელო - ქართული, როგორც მეორე ენა.

1.2 სკოლამ ვერ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.

1.3 სკოლაში სწავლება რუსულ სექტორზეც მიმდინარეობს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს - „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლა განთავსებულია ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის №76-ში მდებარე თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის შენობის I-II-III სართულზე (1335 კვ. მ.). სკოლას საიჯარო ხელშეკრულება არა აქვს (1999 წლის 17.09 საიჯარო ხელშეკრულება შეწყდა, თუმცა სკოლა იჯარის გადასახადს 2010 წლის პირველი კვარტლის ჩათვლით იხდიდა სახელმწიფო ხაზინაში), რადგან, დამფუძნებლების განმარტებით, მიმდინარეობს საქმის წარმოება აღნიშნული ფართის შესყიდვის თაობაზე.

2.2 ბიბლიოთეკა მუშაობს 10-დან 13 სთ-მდე. სკოლაში იგეგმება ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის გაკეთება.

2.3 სკოლას აქვს ვებგვერდი www.businessschool.ge, რომელიც ამჟამად მზადების პროცესშია – მასზე დატანილია მოსწავლეების მიერ მოგროვებული მწირი ინფორმაცია სკოლის შესახებ.

2.4 სამედიცინო პერსონალი სკოლას არ ჰყავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ფართის არქონა მიაჩნია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლამ ვერ მოახერხა ფართის დაკანონება. სკოლის ადმინისტრაცია შეგუებულია იმ ფაქტს, რომ ამ მიზეზით დაწესებულება ავტორიზაციას ვერ მიიღებს.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლას ტრადიცია აქვს, რომ სწავლას იწყებს სექტემბრის პირველ კვირაში, ხოლო რადგან სახელმძღვანელოების გაყიდვა წელს 5 სექტემბერს დაიწყო, მათ, ფიზიკურად ვერ მოასწრეს ახალი სახელმძღვანელოების შეძენა, შესაბამისად, ექსპერტებმა ამიტომ დააფიქსირეს ხარვეზი.

რუსული სექტორისათვის გრიფირებული სახელმძღვანელო - ქართული, როგორც მეორე ენის არქონა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სკოლას მიაჩნია, რომ სანამ თავად არ ნახავს და შეისწავლის წიგნს, მანამ მასალის მოსწავლეებამდე მიწოდება არ ხდება და ამიტომ, ძველი წიგნი იქნა არჩეული სკოლის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როდესაც რუსულ სექტორი აქვს სკოლას და სწავლება მიმდინარეობს რუსულ ენაზე, აუცილებელია შესაბამისი თანხმობის მოპოვება სამინისტროსგან და სწავლება უნდა განხორციელდეს იმ სახელმძღვანელოებით, რომელიც დადგენილი არაქართულენოვანი სკოლებისათვის.

სკოლის დირექტორის განმარტებით, მათ ასეთი თანხმობა არ აქვთ მიღებული და აუცილებლად მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „მჭევრის“ დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლას უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

7. შპს - რუსთავის იურიდიულ-ეკონომიკური და უცხო ენების სწავლების სკოლა-კოლეჯ „რიესის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წარუდგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სკოლის საათობრივ ბადეს წარმოადგენს პედაგოგების საათობრივი განაწილება VI - XII კლასების მიხედვით. წარმოდგენილი არ იყო I-V კლასების საათობრივი ბადე, რადგან, დირექტორის განმარტებით, მათ წელს ეს კლასები არ ჰყავთ. VI კლასის ცხრილი შედგენილია 2011-2012 ესგ-ის მიხედვით, ხოლო VII - XII კლასის 2010-2011 ესგ-ის, თუმცა აღსანიშნავია, რომ ცხრილში გვხვდება გარკვეული უზუსტობები: VI კლასის საგნის სახელწოდებაა ბუნებისმეტყველება, განრიგში კი VI კლასის საგნად ბიოლოგია იგულისხმება; VIII კლასის ცხრილიდან ამოღებულია „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“; ესგ-ის მიხედვით VIII-X კლასებში „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ და „მუსიკა“ ისწავლება I და II სემესტრში მონაცვლეობით 3-3 საათი, სკოლის განრიგში ჩანს, რომ საგნები ისწავლება ორივე სემესტრში 3-3-საათი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს დისციპლინები სკოლაში გამლიერებულად ისწავლება, რაც არ არის ასახული სკოლის მისიაში. ამ განრიგიდან გამომდინარე, IX კლასში კვირეული დატვირთვა 38 საათს შეადგენს, რაც გულისხმობს დღეში 7-8 გაკვეთილს.

1.2 სკოლის მისიის მიხედვით, სკოლაში ისწავლება რუსული ენა, რაც არ არის ასახული საათობრივ ბადეში.

1.3 ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით XI- XII კლასში უნდა ისწავლებოდეს 2 არჩევითი საგანი. ეს კი საათობრივ ბადეში არ არის ასახული.

1.4 XI კლასის საათობრივ ბადეში ჩასმული არ არის ახალი არჩევითი საგანი - „მსოფლიო კულტურა“.

1.5 სკოლის მისიაში აღნიშნულია, რომ სკოლაში ი ისწავლება იურიდიული და ეკონომიკური მეცნიერებები, რაც ასევე არ არის ასახული საათობრივ ბადეში.

1.6 XI კლასში სავალდებულო საათების რაოდენობა კვირაში არის 33 საათი, სკოლის საათობრივი განრიგის მიხედვით კი -16 საათი.

1.7 სკოლის საათობრივ ბადეში არ არის გამოყოფილი ძირითადი სავალდებულო და არჩევითი საგნები.

1.8 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სასკოლო შეფასების სისტემა. შეფასება 10- ქულიანია და სამკომპონენტია. თუმცა, თუ რომელი სამი კომპონენტით ფასდებიან მოსწავლეები, ეს

არც ერთ დოკუმენტში არ არის აღნიშნული. გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება.

1.9 დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლაში 6 კათედრაა: საბუნებისმეტყველო საგნების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, უცხო ენების, ქართული ენისა და ლიტერატურის, სპორტისა და ესთეტიკური საგნების ციკლისა და მათემატიკის. სკოლის მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული კათედრების ფუნქციები. ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო 2 კათედრის შარშანდელი სამუშაო გეგმები.

1.10 დაუდგენელია თუ როგორ ხდება კათედრებზე შეფასების კომპონენტთა კრიტერიუმების შემუშავება და შემდგომ მათი გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის - მშობლებისათვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის.

1.11 ვიზიტის დროს წარმოდგენილი არ იყო დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 1998 წლიდან დღემდე სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. რუსთავის 37-ე ბაგა-ბაღის შენობაში. სკოლას დაკავებული აქვს ბაგა-ბაღის შენობის ნაწილი, საერთო ფართობი – 300 კვ. მ. ფართობი სარგებლობის საფუძველი წლების განმავლობაში რუსთავის მერიასთან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება იყო. ბოლო ხელშეკრულება გაფორმდა 2009 წლის 28 სექტემბერს და იგი ძალაში იყო 2010 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ რუსთავის მერიამ სკოლასთან ხელშეკრულება აღარ განახლა. დღემდე მიდის მცდელობა ხელშეკრულების განახლების თაობაზე. სკოლის დირექციამ წარმოადგინა სკოლის მიერ ქირის გადახდის ქვითარი, დაკავებული ფართობი დამატებითი სარგებლობის პერიოდისათვის (ერთი სასწავლო წელი - 2010-2011 სასწავლო წელი სკოლა ფუნქციონირებდა ქირავნობის ხელშეკრულების გარეშე. ხელშეკრულების გაუფორმებლობის მიუხედავად, სკოლამ ქირის გადასახადი გადაიხადა). სკოლის დირექციამ 2011–2012 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ისევ სთხოვა რუსთავის მერიას, რომელიმე ბაგა-ბაღის შენობაში გამოეყო შესაბამისი ფართი, რათა სკოლა იურიდიულად უფლებამოსილი ყოფილიყო, გაეგრძელებინა მუშაობა. აღნიშნულთან დაკავშირებით მერიამ სკოლას არადადამკმაყოფილებელი პასუხი გასცა. შესაბამისად, სკოლის მიერ აღნიშნული ფართის მფლობელობა იურიდიულად ვერ დასტურდება.

2.2 ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა ვიზუალური დათვალიერებისას ექსპერტებს წარმოუდგინა 10 ოთახი, აქედან 6 ოთახი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით: ორადგილიანი მერხებით (24 ერთეული), სასკოლო დაფით (6 ერთეული), სკამებით (7 ერთეული). დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია ინვენტარის შეძენის თაობაზე. დირექტორის განმარტებით, ინვენტარი დიდი ხნის წინ არის შეძენილი და შეძენის დამადასტურებელი საბუთები სკოლაში აღარ ინახება.

2.3 საბავშვო ბაღის პირველ სართულზე არის დიდი ოთახი, რომელსაც, დირექტორის განმარტებით, სკოლა იყენებს, როგორც სააქტო, ასევე სპორტულ დარბაზად. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არის ღია სპორტული მოედანი. დაწესებულების დირექციის განმარტებით, კარგ ამინდებში სპორტის გაკვეთილებს ღია სპორტულ მოედანზე ატარებენ, თუმცა ხელშეკრულება მოედნით სარგებლობის შესახებ ვერ იქნა წარმოდგენილი.

2.4 სკოლამ წარმოადგინა 2 კომპიუტერი შეფუთულ მდგომარეობაში, ხოლო ნასყიდობა უდასტურდება სამ კომპიუტერს და ერთ პრინტერს - შპს „ნდფ“-საგან შესყიდვის შესახებ საგადასახადო ანგარიშგაქტურით (შეძენილია 2009 წელს).

2.5 სკოლას სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არა აქვს. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ინვენტარის არასრული ჩამონათვალი, სულ 49 ერთეული.

2.6 სკოლას ერთი წელია არ აქვს ელექტროენერგია, დირექტორის განმარტებით ფართთან დაკავშირებული პრობლემის გამო იგი ჩაჭრილია და მას აღდგენის საშუალებას არ აძლევენ. გათბობის საშუალებად სკოლა იყენებს ნავთქურებს, რომელთა შეძენის თაობაზე საბუთები ვერ წარმოადგინა.

2.7 სკოლას აქვს ბიბლიოთეკა მცირე რაოდენობის წიგნადი ფონდით. სკოლის მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან ბიბლიოთეკაში არის მხოლოდ მეათე კლასის შვიდი სახელმძღვანელო – ქართული ლიტერატურა, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა, გეოგრაფიის შესავალი, ხელოვნება და ინგლისური.

2.8 სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეებისათვის.

2.9 სკოლის ვებგვერდი დამუშავების პროცესშია - ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია სრულყოფილი არ არის. ნაკლებად შეესაბამება რეალობას. ელექტროენერგიის უქონლობის გამო სკოლაში არ არის ინტერნეტი. შესაბამისად, არ ტარდება ისტ-ის გაკვეთილები.

2.10 ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი არის საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის იმ ტერიტორიაზე, რომლითაც სკოლა, ფაქტობრივად, არ სარგებლობს. ევაკუაციის გეგმაც გამოკრულია შენობის იმ ნაწილში, სადაც ფუნქციონირებს ბაგა-ბაღი. სკოლაში (სამასწავლებლოში) არსებობს სამედიცინო კუთხე, სადაც სამომავლოდ იგეგმება პირველადი დახმარების სამედიცინო საშუალებების განთავსება. წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგეობის სია, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ და გამოკრულია სამასწავლებლოში. დაწესებულებას ვიდეომეთვალყურეობის სისტემა არ აქვს.

2.11 სკოლა ერთსა და იმავე ჟურნალში აწარმოებს გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვას. სკოლაში არ არის ბრძანებების სარეგისტრაციო წიგნი.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

სკოლას არა აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები, რომლის მიზეზადაც სკოლის დირექტორმა საჭირო თანხების უქონლობა დაასახელა.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ გასული და შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა წარმოებს ერთ ჟურნალში, არ წარმოადგენს სტანდარტის დარღვევას. მთავარია, რომ ხდებოდეს აღნიშნული დოკუმენტაციის აღრიცხვა. დაწესებულება უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს დოკუმენტაციის აღრიცხვის ფორმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ცისმარი გოდერძიშვილმა აღნიშნა, რომ იზიარებდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ შენიშვნებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან შპს - რუსთავის იურიდიულ-ეკონომიკური და უცხო ენების სწავლების სკოლა-კოლეჯ „რიესის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - რუსთავის იურიდიულ-ეკონომიკური და უცხო ენების სწავლების სკოლა-კოლეჯ „რიესის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე -14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - რუსთავის იურიდიულ-ეკონომიკური და უცხო ენების სწავლების სკოლა-კოლეჯ „რიესს“ უარი ეთქვას ავტორიზაციის მინიჭებაზე.

8. შპს - „მწიგნობრის“ (ს/კ: 208209080) ავტორიზაციის საკითხის განხილვა -

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სკოლას შემუშავებული აქვს მისია, რომელიც ითვალისწინებს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ ძირითად მოთხოვნებს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა დაწყებითი საფეხურის განხორციელებას გეგმავს, სასკოლო სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით რთულია იმის გარკვევა, თუ როგორ აპირებს შესაბამისი ასაკის მოსწავლეები ჩამოაყალიბოს თავისუფალ პიროვნებად და, მაგალითისათვის, შეამღებინოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

ბ) დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს არსებულის ხარჯზე;

გ) ბუნებრივი გარემო-პირობების შენარჩუნება და ანალიზი.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების პრინციპები მოიცავს მხოლოდ კლასიდან კლასში გადასასვლელ ბარიერს, რომელიც ითვალისწინებს შიდა სასკოლო ტესტირებას (7 ქულა). არ არის წარმოდგენილი შეფასების რა კომპონენტებს, ტიპებს ან რა კრიტერიუმებს იყენებს სკოლა მოსწავლის შესაფასებლად;

1.3 სკოლამ წარმოადგინა სასწავლო პროგრამები და თემატური გეგმები კლასების მიხედვით, თუმცა არ არის წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამები. ამასთან, არც ერთი წარმოდგენილი დოკუმენტიდან არ ჩანს, თუ როგორ მუშაობს სადამრიგებლო პროგრამა;

1.4 მოსწავლეები ფასდებიან ქულებით ყველა (I – IV) კლასში. შეფასების პრინციპები სკოლის სასწავლო გეგმაში ზოგადია, შესაბამისად, ვერც ერთ საგანში ვერ წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების ვერც ერთი ნიმუში (რუბრიკა). წარმოდგენილი იყო კომენტარები, რომელსაც აგზავნიან მშობლებთან. თუმცა კომენტარები ზოგადია. არ ჩანს ცოდნა და უნარები, რომელსაც უნდა მოიცავდეს შეფასება;

1.5 სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი შემუშავებული არ აქვს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს - „მწიგნობარი“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 24-საათიანი სარგებლობის უფლებით ფლობს ერთ მისამართზე არსებულ ფართს - 491 კვ. მ. -ს. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სკოლის მისამართია გაგარინის მეორე შესახვევი №11, თუმცა ვიზიტი მიმდინარეობდა ქანთარიას ქ. №11-ში. ვიზიტის ადგილსა და საჯარო რეესტრში აღნიშნულ მისამართს შორის იდენტურობა ვერ დადასტურდა.

2.2 სკოლაში ფიქსირდება 5 ერთეული კომპიუტერი (ხუთივე ჩართულია ინტერნეტში) და 1 პრინტერი. თუმცა, კომპიუტერებიცა და პრინტერიც, სასაქონლო ზედნადების მიხედვით, დირექტორის, ქალბატონ ანა უსტიაშვილის სახელზეა. შესაბამისად, დოკუმენტურად არ დასტურდება, რომ მოცემული კომპიუტერები შპს „მწიგნობარის“ კუთვნილებაა.

2.3 სკოლას აქვს დომეინური სახელი www.mtsignobarischool.ge, თუმცა ვებგვერდი მზადების პროცესშია და ამჟამად არ ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, თუ რაში მდგომარეობა 1.1 შენიშვნის არსი.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, განმარტა, რომ შენიშვნის საფუძველს წარმოადგენდა სტანდარტით დადგენილი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, აუცილებელია სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდეს სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება არ არის ვალდებული მისია დაამტკიცოს ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას, შესაბამისად, მას უნდა ჰქონდეს უფლება, მისიაში გაწეროს ის მიზნებიც, რომლის მიღწევასაც იგი სამომავლოდ გეგმავს.

საბჭომ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხზე და არ გაიზიარა ექსპერტთა შენიშვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მას ამ ეტაპისთვის უკვე გააჩნდა შეფასების სქემები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, აჩვენა თუ არა მან ვიზიტის დროს ექსპერტს მოცემული დოკუმენტაცია.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა სრული სახით შემუშავებული შეფასების სქემა, შესაბამისად, ექსპერტისათვის წარდგენილი დოკუმენტი არასრული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, არსებობდა თუ არა სკოლაში დამრიგებლის ინსტიტუტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სკოლაში არსებობს დამრიგებლის ინსტიტუტი.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი ხორციელდება თავად დაწესებულების სურვილით, რომელიც ცენტრს მიმართავს საავტორიზაციო განაცხადით და იხდის შესაბამის საფასურს. აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის მამიებლის ინტერესებშია, რომ მომზადებული დახვდეს ექსპერტებს და წარუდგინოს მათ ყველა საჭირო დოკუმენტი. ზეპირი მოსმენის დროს ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოდგენა გულისხმობს, რომ საბჭომ უნდა შეითავსოს ექსპერტის ფუნქციები და მოახდინოს დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმება, რაც ხშირ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა მას შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ნიმუში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მან ვიზიტის შემდგომ შეიმუშავა განმავითარებელი შეფასების ნიმუში და ამჟამად უკვე შექმნილი მისი წარმოდგენა.

ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის მიერ გადამოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დადგინდა, რომ იგი იყო არასრულყოფილი და შეუსაბამო სკოლის მისიასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განმარტება, ქუჩის სახელწოდებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არსებობდა ქალაქ თბილისის მერიის ნებართვა ქუჩის სახელწოდების ცვლილების თაობაზე.

შესაბამისად, საბჭოს მიერ არ მოხდა 2.1 შენიშვნის გაზიარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით განმარტა, რომ უკვე არსებობდა ნაჩუქრობის აქტი, რომლის მიხედვითაც, სკოლის დირექტორმა, ანა უსტიაშვილმა, კომპიუტერები და პრინტერი უკვე გადასცა საჩუქრად სკოლას.

საბჭომ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხზე და არ გაიზიარა ექსპერტთა შენიშვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვებგვერდთან დაკავშირებით ხარვეზი ამ ეტაპისათვის გამოსწორებულია.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ცენტრს ვებგვერდის გადამოწმების თხოვნით. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

საბჭომ იმსჯელა ვებგვერდის საკითხზე და მიიჩნია რომ ხარვეზი აღმოფხვრილია.

22 საათსა და 37 წუთზე საბჭოს თავჯდომარემ ზეპირ მოსმენაზე ე გამოაცხადა 5 წუთიანი შესვენება.

სხდომა განახლდა 22 საათსა და 44 წუთზე.

საბჭოს თავჯდომარემ განმარტა, რომ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით საბჭოს არ გააჩნდა შენიშვნები, თუმცა არ არსებობდა ერთიანი მიდგომა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, შესაბამისად, მიმართა ექსპერტს, მისი პოზიციის დაფიქსირებისათვის.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი, დაწესებულების მიერ კი სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად ირკვევა, რომ შემუშავებულია სამ- და ოთხდონიანი შეფასების სისტემები. რაც შეეხება შეფასების გაუმჯობესების მექანიზმებს, წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელიც არ არის დამოწმებული და შინაარსობრივად ისეთ საკითხებს მოიცავს, რომლებსაც დამატებითი დადასტურება სჭირდება. არის ასევე საგანმანათლებლო რუბიკები, მაგრამ ზოგიერთი მათგანის წარმომავლობა გაურკვეველია. აქვე ფიქსირდება, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება ანონიმური ანკეტების მეშვეობით, მაგრამ ეს ანკეტები ვიზიტის დროს არ ყოფილა წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მამიებლად ცნობის შემდეგ სკოლა გადავიდა ახალ შენობაში, რის გამოც საბუთები მიმოფანტული იყო.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, სადამრიგებლო პროგრამებთან დაკავშირებით, იყო თუ არა ხარვეზი გამოსწორებული.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სადამრიგებლო პროგრამები წარმოდგენილი და დამტკიცებულია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „მწიგნობრის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „მწიგნობარს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

9. შპს - სკოლა „ევრო-2000“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ ექსპერტებს დაწესებულების მიმართ შენიშვნები არ ჰქონიათ.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 650 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 650 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა „ევრო-2000“-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 650-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სკოლა „ევრო-2000“-ს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 650-ით.

10. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირის (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

წარმოდგენილია შეფასების სისტემის 2 კომპონენტის - საშინაო და საკლასო სამუშაოს-რუბრიკები. აღსანიშნავია, რომ რუბრიკებად წარმოდგენილი შეფასების სისტემის ფორმები ზოგადი ხასიათისაა. კათედრების სამუშაო გეგმებში არ ჩანს, როგორ მოხდა შეფასების სისტემის შემუშავება. თუმცა დამრიგებლების სააღმზრდელო გეგმებში აღნიშნულია, რომ პირველივე კრებაზე ისინი მშობლებს ესაუბრებიან სწავლების საორგანიზაციო საკითხებზე, აცნობენ სასკოლო გეგმის შესაბამის საკითხებს, რაც თავისთავად უნდა გულისხმობდეს შეფასების სისტემის გაცნობასაც. ანუ, სკოლაში ფაქტობრივად ხორციელდებოდა შეფასების სისტემის გაცნობა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა აღნიშნული შენიშვნა არ გაიზიარეს, რადგან, მათი მოსაზრებით, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ სასკოლო საზოგადოებისათვის ხდებოდა სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემის გაცნობა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულება სასწავლო პროცესისთვის იყენებს ორ შენობას. მეორე შენობის მისამართია ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. №44. საჯარო რეესტრის მონაცემებით, ლიცეუმის სარგებლობაშია ბინა №35 (120კვ. მ.). ფართი განთავსებულია მაღალსართულიანი შენობის მე -3 სართულზე. ფართი ეკუთვნის დალილა რატიანს, რომელსაც ლიცეუმთან დადებული აქვს იჯარის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება უვადოა. ვიზუალური დათვალიერებითა და შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით სკოლა სასწავლო პროცესისთვის იყენებს 185.19 კვ. მ.-ს. აღნიშნული არ შეესაბამება საჯარო რეესტრის ამონაწერის მონაცემებს (120 კვ.მ.).

მომხსენებელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც, დაწესებულება ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. №44-ში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 173.35 კვ. მ.-ს, შესაბამისად, ორივე მისამართზე ერთად ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირის (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმი საჯარო რეესტრის მონაცემებით ფლობს 454 კვ. მ.-ს.

2.2 ერთ შენობაში (გამსახურდიას გამზ. №34) განთავსებულია მცირე სპორტული დარბაზი (35 კვ. მ.), სადაც ტარდება სპორტის გაკვეთილები (1-4 კლასებში). ლიცეუმის მეორე შენობაში სპორტული დარბაზი არ არის. ლიცეუმს დადებული აქვს ხელშეკრულება სპორტულ კლუბ „ხრიდოლის სადროშო იბერიელ მგლებთან“, რომლის თანახმადაც სპორტული კლუბის დარბაზში ჩატარდება ხრიდოლის გაკვეთილები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სპორტის მე-2 სახეობად არჩეული

ჰქონდა ჭადრაკი. დაწესებულებას ჭადრაკის გაკვეთილების ჩასატარებლად გააჩნდა სათანადო ინვენტარი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რაში მდგომარეობდა შენიშვნა. მომხსენებელმა განმარტა, რომ საბჭოს ამ შემთხვევაში გააცნო სკოლაში არსებული ფაქტობრივი გარემოება.

2.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე სკოლას ამჟამად არ ჰყავს. სკოლის ინკლუზიური განათლების პროგრამა ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის სკოლაში სწავლის შემთხვევაში ადაპტირებული გარემოს შექმნას. იგეგმება ხის პანდუსების დამონტაჟება.

ია ბაგრატიონ-მუხრანელმა აღნიშნა, რომ მათ უკვე დამონტაჟებული ჰქონდათ ხის ასაკეცი პანდუსები, რისი დამადასტურებელი ფოტო მასალაც წარუდგინა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს. ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა დაადასტურა, რომ ფოტოებზე გამოსახული შენობა ნამდვილად იყო ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირის (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის) საკუთრებაში არსებული სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, ფოტო მასალის გადამოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის დამონტაჟებული ჰქონდა ხის ასაკეცი პანდუსები. დირექტორის მოადგილემ გია ჩხიკვიშვილმა დაამატა, რომ სკოლას ამ ეტაპზე ასეთი მოსწავლე არ ჰყავდა.

2.4 ლიცეუმის ორივე შენობაში განთავსებულია უსაფრთხოების ორ-ორი კამერა, რომელიც აკონტროლებს ორივე შენობის შიდა პერიმეტრს. გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემები დამონტაჟებული არა არის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას შესყიდული გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად ვიდეო კამერები. ია ბაგრატიონ-მუხრანელმა საბჭოს წარუდგინა სასაქონლო ზედნადები, რომლის მიხედვითაც სკოლამ შეიძინა შესაბამისი ვიდეო კამერა. დაწესებულების დირექტორმა საბჭოს წარუდგინა ვიდეო კამერის შეძენის დამადასტურებელი ქვითარი, რომლის მიხედვითაც სკოლას ვიდეო კამერის ღირებულება სრულად ჰქონდა გადახდილი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სკოლის კონტინენტის 120-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 120 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირის (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის) ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010

წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისადა (ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირს (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმს) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაღვროს 120-ით.

11. ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულება მუშაობს სამ კურნალო - პედაგოგიური ვალდორფის სკოლის სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომლის მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმის ინკლუზიური სწავლების მიზნების შესაბამისია. საგანმანათლებლო პროცესის შინაარსი განისაზღვრება თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის მიერ ვალდორფის სკოლის პროგრამების საფუძველზე დამუშავებული და საქართველოს სოციალური პირობების შესაბამისად შემოქმედებითად ადაპტირებული პროგრამებით, რომლებიც ითვალისწინებენ ინტელექტუალური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების ფსიქოფიზიოლოგიურ თავისებურებებს;

1.2 სკოლაში მოქმედებს შ ეფასების ორგვარი სისტემა: ა) სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ქულებით შეფასება ბავშვის შესაძლებლობის ფარგლებში, მისი დიაგნოზიდან გამომდინარე. მოსწავლეები ფასდებიან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შეფასების სუსტი, დამაკმაყოფილებელი და საშუალო მიღწევის დონეებით; ბ) ვალდორფის სკოლის ბავშვის დაწვრილებითი დახასიათება-შეფასება ყველა საგნისა და უნარის მიხედვით.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულებას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა, რომელიც სსსმ ბავშვებთან ინდივიდუალური გეგმების მიხედვით მუშაობისათვის არის აუცილებელი/საკმარისი. სკოლა ეყრდნობა მოდიფიცირებულ სასკოლო სასწავლო გეგმებს.

2.2 დაწესებულებას აქვს ოთხი კომპიუტერი, აქედან ორი ნოუთბუქი.

2.3 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულებას აქვს ვებგვერდი www.cfp.ge. ცენტრის მიერ ვებგვერდის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი არ ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს დაეზუსტებინა, იყო თუ არა მოცემული დაწესებულება ჩვეულებრივი სკოლა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სსსმ მოსწავლეებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მთლიანად ორიენტირებული იყო ინკლუზიურ სწავლებაზე. ექსპერტმა აქვე, დამატებით განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ყველა შენიშვნა დაფიქსირდა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ პროგრამები იყო ინკლუზიური განათლების მიზნების შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია მატერიალურ რესურსთან მიმართებაში გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ვინაიდან ყველა მოსწავლეს არ შეეძლო კომპიუტერთან მუშაობა, სკოლას ჰქონდა მხოლოდ 4 კომპიუტერი. ამასთან, მისთვის უცნობი შესაბამისი მოთხოვნა, მინიმუმ 5 კომპიუტერის არსებობის თაობაზე.

საბჭოს წევრმა დავით კახიაშვილმა განაცხადა, რომ ერთ კომპიუტერს სკოლა „მწიგნობართუხუცესი“ უახლოეს დღეებში გადასცემდა ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრს საჩუქრად. საბჭომ გაითვალისწინა აღნიშნული ზეპირსიტყვიერი შეთანხმება და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 100-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 100- მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი, ამასთან განმარტა თავისი პოზიცია, რომ ვერ გაითვალისწინებს საბჭოს სხდომაზე დადებული ზეპირი გარიგებას მე-5 კომპიუტერის ჩუქებაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

12. შპს - „თამარი გარეჯელის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1.მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის არსებობს ინდივიდუალური სკამები, თუმცა მერხები ორადგილიანია რაც არ აკმაყოფილებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულ პარამეტრებს.

1.2 სკოლას არ გააჩნია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიები, თუმცა სკოლას აქვს გარკვეული რაოდენობის აღჭურვილობა, კერძოდ - კოლბები, შტატივები, მიკროსკოპი, საზომები ასევე სხვა თვალსაჩინოებები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა მცირეკონტიგენტიანია, სწავლის გადასახადი მცირეა და ამჟამად 13 000 ლარის ღირებულების ლაბორატორიის შეძენა არ ხერხდება, აღნიშნულის შეძენა გათვალისწინებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი განვითარების გეგმაში.

1.3 სკოლას წიგნები განთავსებული აქვს დირექტორის კაბინეტში. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების 1 ეგზემპლარი მაინც, გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე სახელმძღვანელო: I კლასის მუსიკისა და XII კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელო ადგილზე არ აღმოჩნდა, ხოლო V კლასის მუსიკის და X კლასის ფიზიკის სახელმძღვანელო რომელიც ბიბლიოთეკაშია, არ შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმით არჩეულ სახელმძღვანელოს.

1.4 სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლას ამჟამად სსსმ მოსწავლე არ ჰყავს. სკოლაში შემუშავებულია სსსმ მოსწავლეთა პროგრამა. სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია პანდუსების დამონტაჟება. წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან პანდუსების დამონტაჟებაზე.

1.5 სკოლას აქვს 4 კომპიუტერი, რომლებიც უზრუნველყოფილია ინტერნეტის მიწოდებით. აღსანიშნავია, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ 500 მოსწავლემდე (სკოლას ჰყავს 67 მოსწავლე) კომპიუტერების მინიმალური ოდენობაა 5 კომპიუტერი.

1.6 სკოლას აქვს ერთი კამერა, რომელიც დამონტაჟდა საატესტატო გამოცდების დროს, რომელიც უზრუნველყოფს შიდა პერიმეტრის კონტროლს. ხოლო გარე პერიმეტრის კონტროლის უსაფრთხოების კამერა დაწესებულებას არ გააჩნია.

1.7 დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მისი სურვილია, წესრიგი დაიცვას მანდატურის სამსახურმა, თუმცა რაიონში ჯერ-ჯერობით საჯარო სკოლაშიც არ არის აღნიშნული სამსახური.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ლალი ლოღელიანმა იკითხა, თუ სად მდებარეობდა სკოლა. დირექტორის განცხადებით, სკოლა მდებარეობს საგარეჯოში.

სკოლის დირექტორის განმარტებით, სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული ხარვეზი გამოსწორებულია. მან საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული სახელმძღვანელოები, რომლებიც სკოლის ბეჭდით იყო დამოწმებული და აყვანილი ბალანსზე.

სკოლაში 67 მოსწავლეა და 2-ადგილიან მერხებზე, რომ თითო ბავშვი დაჯდეს, მერხების რაოდენობა სკოლას ყოფნის.

ექსპერტის განმარტებით, კლასებში მაქიმუმ 10-12 მოსწავლეა, ამავდროულად სკოლაში 2 ცვლაა და შესაბამისად, მერხების რაოდენობა სკოლას ყოფნის.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სკოლას აქვს 55 მერხი და რადგან, ორი ცვლაა, მერხების რაოდენობის პრობლემა სკოლას არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზი მოხსნილია.

ლაბორატორიებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას აქვს ლაბორატორია, რომელიც საკმარისია სასწავლო პროგრამის შესასრულებლად.

ექსპერტის განმარტებით, სკოლის აღნიშნულ ინვენტარს, ძნელია ლაბორატორია უწოდო.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, ლაბორატორიის შეძენა გათვალისწინებული სკოლის გრძელვადიან გეგმაში. რადგან სკოლაში 67 მოსწავლეა და სწავლის გადასახადი მცირეა, სკოლას ამ ეტაპისათვის არ ჰქონდა აღნიშნულის ყიდვის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, მოქმედი კანონმდებლობა არ ელოდება დაწესებულებების გრძელვადიანი გეგმის რეალიზებას, არამედ ავალდებულებს მათ, რომ დააკმაყოფილონ გარკვეული სტანდარტი. აუცილებელი არ არის, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა განახორციელოს დაწესებულებამ, თუ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ აქვს.

სკოლის დირექტორის განმარტებით შენობის ფართის დაკანონების საკითხი გვიან მოგვარდა და ვერ მოესწრო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა. დაწესებულებას პანდუსები ამ დროისათვის აქ აქვს, მაგრამ ხელშეკრულება გაფორმებულია და პანდუსების დამზადება დაწყებულია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა გადახდილი აღნიშნული მომსახურების საფასური.

ექსპერტის განმარტებით, მათ ხელშეკრულება ნახეს, მაგრამ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი - არა.

კომპიუტერების არასაკმარის რაოდენობაზე, დაწესებულებამ განაცხადა, რომ ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ ჯერ-ჯერობით სკოლას მე-5 კომპიუტერი მფლობელობაში არ აქვს.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, გარეპერიმეტრის კონტროლისათვის ამჟამად კამერა არ აქვს სკოლას, მაგრამ აპირებს შეძენას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ხარვეზები დაუფიქსირდა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ კავშირშია ფინანსებთან, მაგრამ

გადაწყვეტილების მიღება იმ გარემოებებში, რომ სკოლა სავალდებულო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, შეუძლებლად მიაჩნია, მითუფრო რეგიონში, სადაც, შემოსავლიანობა და მსყიდველუნარიანობა არის დაბალი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „თამარი გარეჯელის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „თამარი გარეჯელს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

13. შპს - „სხივის“ (ს/კ: 235445693) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წარუდგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს - „სხივი“ ქ. მარტვილში, მშვიდობის ქუჩა N2-ში მუნიციპალიტეტის შენობაში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 480,1 კვ. მ. ფართს. საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია 2008 წლის პირველი აპრილიდან 2010 წლის პირველ აპრილამდე. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა დანართების შესაბამისად გაგრძელებულია ორჯერ, ბოლო ცვლილება ხელშეკრულებაში შესულია 2011 წლის 7 აპრილს, რომლითაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 2 აპრილამდე. ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში;

1.2 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, სკოლის ვებგვერდი - www.schivi.blogspot.com, მასზე განთავსებულია სკოლის მისია, მდებარეობა, საკონტაქტო ინფორმაცია, შეფასების სისტემა, პედაგოგების სია. ცენტრის მიერ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას არ გააჩნია ვებგვერდი, ხოლო მითითებული ელექტრონული მისამართი წარმოადგენს ბლოგს;

1.3 სკოლის შენობა არ არის აღჭურვილი უსაფრთხოების კამერებით;

1.4 დაწესებულებაში არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილი კუთხე პირველადი დახმარების მედიკამენტებით, თუმცა დაწესებულებას არ ჰყავს სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი;

1.5 სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია გარკვეული რაოდენობის ინვენტარით, თუმცა იგი არ შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე ცენტრის მიერ დადგენილ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მუნიციპალიტეტის თავდაპირველი პოზიცია იყო მხოლოდ ხელშეკრულების არსებობა, თუმცა ამჟამად, ხელშეკრულება უკვე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

საბჭო გაეცნო წარმოდგენილ ამონაწერს საჯარო რეესტრიდან და მიიჩნია, რომ ფართის კანონიერ ფლობასთან დაკავშირებით ხარვეზი აღმოფხვრილია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდათ თუ არა გაფორმებული ხელშეკრულება ვებგვერდთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა მდებარეობს მარტივში, მათ გაუჭირდათ ამ საკითხის მოგვარება და უახლოეს მომავალში იზრუნებენ ვებგვერდის შექმნაზე.

საბჭოს თავჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის მაძიებელმა საბჭოს წარუდგინა უსაფრთხოების კამერების შემენასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება.

საბჭოს თავჯდომარემ ავტორიზაციის მაძიებელს განუმარტა, რომ აუცილებელია დადგინდეს კამერების პარამეტრების შესაბამისობა „ზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებთან, ამასთან, თავჯდომარემ სთხოვა ავტორიზაციის მაძიებელს წარედგინა საბჭოსთვის გადახდის ქვითრები, მათი არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის მაძიებელმა წარმოადგინა გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, ხოლო პარამეტრებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი მითითებული იყო თავად ხელშეკრულებაში.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ, პეტრე წურწუმიამ, განაცხადა, რომ ხელშეკრულებაში მითითებული იყო მხოლოდ ის, რომ კამერები შეესაბამება „ზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებს, თუმცა, არ იყო მითითებული პარამეტრები, რაც საშუალებას მისცემდა ცენტრს, გადაემოწმებინა მოცემული შესაბამისობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების პირობები და გადასახდელი თანხის ოდენობა თავისმხრივ, უნდა ყოფილიყო საფუძველი იმისა, რომ საბჭოს არ შეეტანა ეჭვი ვიდეოკამერების სტანდარტთან შესაბამისობაში.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განმარტება სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ დრომდე აღნიშნული ფუნქცია შეთავსებული ჰქონდა სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს, ხოლო ამჟამად სკოლას უკვე აქვს გაფორმებული ხელშეკრულება ექიმთან.

საბჭოს თავჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ლაბორატორიის აღჭურვილობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას ამ ეტაპისათვის უკვე გააჩნდა შესაბამისი ინვენტარი, რომელიც მიიღო ჩუქების აქტის საფუძველზე.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, თუ რატომ არ აჩვენა ვიზიტის დროს მოცემული ჩუქების აქტები ექსპერტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში ჩუქების აქტები არ არსებობდა.

საბჭოს თავჯდომარის თქმით, მოცემულ შემთხვევაში, უმჯობესი იქნებოდა საბჭოს უარი ეთქვა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ხელახლა შემოიტანდა საავტორიზაციო განაცხადს, ცენტრი დაგეგმავდა ექსპერტა ვიზიტს და დადგენილი წესით, ადგილზე მოხდებოდა აღნიშნული ჩუქების აქტების გადამოწმება.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, მოითხოვა ლაბორატორიის აღჭურვილობის ჩამონათვალი და აღნიშნა, რომ ჩამონათვალი ანგარიშგასაწევი იყო.

ექსპერტმა, მაია ხურცილავა, აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა პრობლემა ქიმიის ლაბორატორიასთან დაკავშირებით, შენიშვნა დადგინდა მხოლოდ ბიოლოგიის კაბინეტთან მიმართებით.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ლაბორატორიის აღჭურვილობის გარდა, პრობლემატური იყო ვიდეოკამერების საკითხი, ვინაიდან, საბჭოს არ შეეძლო ვიდეოკამერების პარამეტრების სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა. საბჭოს თავჯდომარემ, დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოსაგვარებელი რჩებოდა ვებგვერდის საკითხი, საბჭოს კი, იმ შემთხვევაში ექნებოდა უფლება ემსჯელა ხარვეზების გამოსწორების მიღება/არმიღებაზე, თუკი ისინი ზეპირი მოსმენის დროს რეალურად უკვე გამოსწორებული იქნებოდა.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ, პეტრე წურწუმიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იცოდნენ თუ არა მათ ახალი სტანდარტების არსებობის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ ჰქონდათ ახალი სტანდარტების შესახებ ინფორმაცია.

23 საათსა და 50 წუთზე საბჭომ კენჭი უყარა სხდომის 7 ოქტომბერს გაგრძელების საკითხს. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

00 საათსა და 01 წუთზე საბჭოს თავჯდომარემ ზეპირ მოსმენაზე გამოაცხადა 5 წუთიანი შესვენება.

სხდომა განახლდა 00 საათსა და 07 წუთზე.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ შესვენების დროს ექსპერტთან ინტერვიუების შედეგად, დადგინდა, რომ ლაბორატორიის აღჭურვილობის ჩამონათვალი აკმაყოფილებს მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე ცენტრის მიერ დადგენილ რეკომენდაციებს. ამასთან, ვებგვერდთან დაკავშირებით, საბჭოს წევრთა აზრი ორად გაიყო, ვინაიდან ნაწილი წევრებისა, თვლიდა, რომ ვინაიდან ბლოგი ასე თუ ისე, ასრულებს საინფორმაციო და საკონტაქტო ფუნქციას, შესაძლებელია შენიშვნა არ ყოფილიყო გაზიარებული. რაც შეეხება უსაფრთხოების კამერებს, ხელშეკრულების პირობები გათვალისწინებით, სტანდარტი მაღალი ალბათობით დაკმაყოფილებულია.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და ზმატა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 120 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 120 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „სხივის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „სხივს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

14. სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოდგენილია სტრუქტურულად არასრულყოფილად, რამდენიმე სხვადასხვა დოკუმენტის სახით: სახელმძღვანელოების ნუსხა, სასწავლო ბადე, გაკვეთილების ცხრილი. სასკოლო სასწავლო გეგმა, როგორც ერთიანი დოკუმენტი, დამტკიცებული არ არის. სახელმძღვანელოები გრიფირებულია, გამონაკლისს წარმოადგენს ინგლისური ენის I-IV კლასების სახელმძღვანელოები.

1.2 დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას: ისტორია, ქორეოგრაფია, ასევე საგნობრივ წრეებს: ისტორია, მათემატიკა და ცეკვა. ცეკვა წარმოადგენს სავალდებულო საგანს და გაწერილია საათობრივ ბადეში. რაც შეეხება სხვა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, ბადეში არ არის გაწერილი.

1.3 სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების პორტფოლიოები. სადამრიგებლო პროგრამები დამტკიცებული არ არის. სკოლას აქვს დოკუმენტი, რომელიც დირექციის განმარტებით განსაზღვრავს დამრიგებლის პორტფოლიოში შემავალ დოკუმენტაციის ნუსხას, თუმცა აღნიშნული დოკუმენტიც არ არის დამტკიცებული.

1.4 კლასის დამრიგებლის ვალდებულებები გაწერილია სკოლის „შრომის შინაგანაწესში“. აქვეა გაწერილი მოსწავლეთა შეფასება. მოსწავლეთა შეფასება გაწერილია დოკუმენტში, რომელსაც ჰქვია „შეფასების ზოგადი პრინციპები-2010-2011“. ეს უკანასკნელი დოკუმენტიც არ არის დამტკიცებული.

1.5 დაწესებულებას განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის არა აქვს სპეციალური პროგრამა. ასევე არ აქვს გაწერილი, თუ როგორ ადგენს სკოლა მოსწავლის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს. სკოლამ ვერ წარმოადგინა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის ჩარჩო. არ არის აღწერილი სსსმ მოსწავლეების შეფასების სისტემა, სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით სკოლას აქვს დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია „როგორ ვასწავლოთ“ და რომელშიც გაწერილია: სწავლების ალტერნატივები, რა არის ინკლუზიური განათლება, ქცევის შედეგი და შესატყვისი ჩარევის სტრატეგიები. მასში მოცემული არ არის სკოლის ხედვა/კონცეფცია სსსმ მოსწავლეებთან მიმართებაში.

1.7 დაწესებულებას გაწერილი არა აქვს თუ რა მექანიზმებით ხდება შეფასების სისტემის გაცნობა მოსწავლეებისათვის და სასკოლო საზოგადოებისათვის.

1.8 სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი გაწერილი სახით ვერ წარმოადგინა. წარმოადგინეს მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმა. წარმოდგენილი ფორმა არ არის დამტკიცებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 სკოლა განთავსებულია 65 -ე ბაგა-ბაღის შენობაში არსებულ 320 კვ. მ.-ზე, მაგრამ ბაღის და სკოლის ფართის გამოიჯნის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ ვერ წარმოადგინა. აღნიშნული ფართი სკოლას გადაცემული აქვს ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მოქმედებს 2014 წლის 22 აპრილამდე. ადმინისტრაციის განმარტებით, ფართი გამოიჯნულია სკოლისა და ბაღის დირექციის სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე. ნახაზის შესაბამისად ფართის ანალიზის დროს აღმოჩნდა, რომ სველი წერტილები და კიბე, რომლითაც რეალურად სკოლა სარგებლობს, ხსენებულ 320 კვ. მ. -ში არ შედის. ასევე შეუსაბამობა იკვეთება სკოლის მისამართთან დაკავშირებით. ადმინისტრაციის განმარტებით, მარელისის ქუჩა დღესდღეობით არის ბაბუციძის ქუჩა და სწორედ ამიტოა განპირობებული, რომ კომუნალური გადასახადების ზოგიერთ ქვითარში მარელისის ქუჩის ნაცვლად მითითებულია ბაბუციძის ქუჩა.

2.2 სკოლას აქვს საკლასო ოთახების არასასურველი განლაგება. კერძოდ, იმისათვის რომ მოხვდეთ ერთ-ერთ საკლასო ოთახში, უნდა გაიაროთ სხვა საკლასო ოთახის ტერიტორია. დაწესებულებაში განთავსებულია 68 ინდივიდუალური და 51 - ორადგილიანი მერხი.

2.3 2009 წლის 1 სექტემბერს №65-ე ბაგა-ბაღის დირექტორს ე. გონგაძესა და სკოლა დავითიანის დირექტორს ნ. ზურაბიშვილს შორის, გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 30 ივნისის ჩათვლით, სპს „დავითიანს“ დროებით სარგებლობაში გადაეცემა სპორტული მოედანი. თუმცა ხელშეკრულებაში არ არის ინფორმაცია დროის გადანაწილების თაობაზე.

2.4 დაწესებულებას სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია არა აქვს. სკოლა ს აქვს მიკროსკოპი, კოლბები, ქიმიური რეაქტივები. ადმინისტრაციის განმარტებით, მასწავლებელი აღნიშნული მოწყობილობით გადაადგილდება კლასებში და ატარებს ცდებს.

2.5 სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი მხოლოდ 16 სახელმძღვანელო იყო ბიბლიოთეკაში, საიდანაც 4 წიგნზე დასტურდება სკოლის საკუთრების უფლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრული არ არის ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკარის მოვალეობანი, ასევე არც ცალკე დებულება არსებობს ბიბლიოთეკის საქმიანობასთან დაკავშირებით. არც საშტატო განრიგით, არც დირექტორის ბრძანებით არ არის განსაზღვრული ბიბლიოთეკარის შტატი. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება. ადმინისტრაციის განმარტებით, ბიბლიოთეკარის მოვალეობას ითავსებს ინგლისური ენის მასწავლებელი მაქარაშვილი თამარი. ბიბლიოთეკაში წარმოებს წიგნების გაცემა-ჩაბარების აღრიცხვა. დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკის წიგნების ჩამონათვალი, რომელიც ზონარგაყრილია, მაგრამ გვერდები არ არის დანომრილი, ყდა ბეჭედდასმულია, თუმცა არ არის ხელმოწერილი.

2.6 სკოლას აქვს 2 ცალი ცეცხლმაქრი, რომელიც ადმინისტრაციის განმარტებით წარმოადგენს მერიის საჩუქარს, რისი დამადასტურებელი დოკუმენტიც ვერ იქნა წარმოდგენილი.

2.7 სკოლას აქვს 16 ვიდეოთვალი, რომლითაც კონტროლდება საკლასო ოთახები, სააქტო დარბაზი, ვიდეო თვალი არ აკონტროლებს სკოლის შესასვლელს და გასასვლელს, სპორტულ მოედანს, სკოლის კორიდორს.

2.8 სკოლამ ვერ წარმოადგინა 1 წლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა წარმოადგინა სკოლის სამუშაო გეგმა, რომელზეც მითითებულია 2010-2011 სასწავლო წელი. სკოლამ წარმოადგინა კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ განვითარების გეგმა და ძირითადი მიმართულებები (გრძელვადიანი), რომელიც დამტკიცებულია კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ პედაგოგიური საბჭოს №1 სხდომის ოქმით, სკოლის დოკუმენტაციის წარმოების დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ნ. ზურაბიშვილის და დამფუძნებლის ნ. ჩოხელის მიერ №3 ბრძანებით. ბრძანებაში მითითებულია, რომ მტკიცდება ერთწლიანი სამუშაო გეგმა და სკოლის ექვსწლიანი სამუშაო გეგმა, თუმცა ძნელია იმის დადგენა, გრძელვადიანი გეგმა არის თუ არა ექვსწლიანი სამუშაო გეგმა, რადგან გრაფაში, სადაც გაწერილია მიზნების შესრულების ვადები, ბოლო ვადად მითითებულია 2013 წელი.

2.9 სკოლაში კორესპონდენციის აღრიცხვა წარმოებს ხარვეზებით. სკოლამ ვერ წარმოადგინა თანმიმდევრულად დალაგებული კორესპონდენციები. ერთ ფაილში აქვთ შენახული შემოსული და გასული წერილები. აღნიშნულ ფაილში განთავსებულია შემოსული და გასული დოკუმენტაციის მხოლოდ ნაწილი. ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოსული და გასული კორესპონდენცია სრული სახით ვერ იქნა წარმოდგენილი. წარმოებს გასული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალი, მაგრამ ზემოხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით, ვერ დადგინდა, არის თუ არა გასული წერილების ნომრები ჟურნალში დარეგისტრირებული. გასული წლების ჟურნალებში არის ხელმოუწერელი ადგილები, როგორც წერილის მიმღები, ისე წერილის გამცემი პირის მიერ. აღნიშნული ჟურნალის გვერდები დაუწოდრავია, არ არის ხელმოწერილი, არ ფიქსირდება ბეჭედი და არ არის ზონარგაყრილი. შემოსულ წერილებს სკოლა სარეგისტრაციო ნომერს არ ანიჭებს. აღნიშნული წიგნიც ხელმოუწერელი და ბეჭედადუსმელია, არ არის ზონარგაყრილი, გვერდები არ არის დანომრილი. წარმოებს საბაზო განათლების ატესტატების გაცემის წიგნი, რომელიც არ არის ხელმოწერილი. აღნიშნული წიგნის მე-6 და მე-8 გვერდები არ არის ჩახურული, ხელმოუწერელია ატესტატის მიმღების მიერ. წარმოებს საშუალო განათლების ატესტატების გაცემის წიგნი, რომელიც არ არის ხელმოწერილი. რიგ შემთხვევებში არ არის ატესტატის მიმღები პირის ხელმოწერა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 შინაგანაწესით არ არის განსაზღვრული თანამშრომელთა შერჩევის პირობები.

3.2 დაწესებულებას ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დადებული არა აქვს შრომითი ხელშეკრულებები.

3.3 თანხვედრა და შესაბამისობა არ არის დირექტორის ბრძანებებს, საშტატო განრიგსა და შინაგანაწესს შორის. კერძოდ, ორგანიზატორის შტატზე დირექტორის ბრძანება №1-ში (15.09.2011) დანიშნულია ელენე გონგაძე, თუმცა საშტატო განრიგში ამგვარი შტატი არ გვხვდება. ბრძანებაში (№1 15.09.2011) დირექტორის პირველ მოადგილედ დანიშნულია ჩოხელი ნანა, ასევე საშტატო განრიგშიც. ხოლო ბრძანება №1-ში (08.08.2010) იგი არის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. ამავე ბრძანებაში ელენე გონგაძეს სამეურნეო ნაწილის პასუხისმგებლობები აკისრია, თუმცა ამგვარი შტატი არც განრიგში გვხვდება და არც შინაგანაწესშია მასზე საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ნანა ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სკოლას უკვე შეძენილი ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა ლაბორატორიის მიღება-ჩაბარების აქტი და ღირებულების გადახდის დამადასტურებელი კვითარი (10033 ლარი).

დაწესებულების მიერ ასევე შეძენილია I-VI კლასის სასკოლო სახელმძღვანელოები, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სკოლის დირექტორმა. რაც შეეხება სხვა კლასის სახელმძღვანელოებს, დაწესებულების წარმომადგენლებმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინეს აღნიშნული სახელმძღვანელოების ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში ამჟამად იყო 1000 წიგნი და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული შენიშვნები უკვე გამოსწორებული იყო. ნანა ზურაბიშვილმა დაამატა, რომ სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული იყო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ადგილზე გადამოწმებით საბჭოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავდა ბიბლიოთეკის მუშაობისა და სარგებლობის წესებს.

რაც შეეხება უსაფრთხოების კამერებს, დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა 16 ვიდეო კამერა. ამჟამად მათ შეიძინეს დამატებით 4 ვიდეო კამერა, რომელიც ნანა ზურაბიშვილის განმარტებით უზრუნველყოფს სკოლის

გარე პერიმეტრის კონტროლს. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანს“ ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული დაცვის პოლიციასთან. დამატებით სკოლას ასევე ჰყავდა დარაჯი. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა 4 ვიდეო კამერის მიღება-ჩაბარების აქტი და მათი ღირებულების სრულად გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ნანა ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის სასწავლო გეგმის ნაწილები, მათ შორის, მისია და სასწავლო ბადე, ცალ-ცალკე იყო დამტკიცებული. შესაბამისად, სკოლის სასწავლო გეგმა ერთიან დოკუმენტად არ ჰქონდათ დამტკიცებული. შეფასების სისტემაც ცალკე დოკუმენტად იყო დამტკიცებული. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლის შინაგანაწესში იყო მოცემული თუ როგორ ხდებოდა შეფასების სისტემის გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის. სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ შინაგანაწესის თანახმად, მშობელთა კრებებზე დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, შესაბამისად, სკოლაში არსებულ შეფასების სისტემის თაობაზეც ხდება მათი ინფორმირება. ნანა ზურაბიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ შინაგანაწესი, სადაც გაწერილი იყო სასკოლო საზოგადოებისათვის შეფასების სისტემის გაცნობის მექანიზმი. ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ შეფასების სისტემის გაცნობა გულისხმობს მოსწავლეებისათვის შეფასების კომპონენტების გაცნობასაც, რაც შინაგანაწესის მიხედვით არ ხდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ მათ ექსპერტებს წარუდგინეს თითოეული დამრიგებლის ანგარიში, რომლებსაც ისინი ადგენდნენ ყოველი სემესტრის ბოლოს. აღნიშნულ ანგარიშებში მოცემული იყო მოსწავლეთა რეიტინგი. რაც შეეხება შეფასებების კომპონენტებს, დამრიგებლები სასკოლო საზოგადოებას (მოსწავლეებს, მშობლებს) მშობელთა კრებებზე აცნობდნენ შეფასების კომპონენტებს. ასევე თითოეული მასწავლებელი გაკვეთილზე თავის მხრივ მოსწავლეებს ყოველთვის აცნობს შეფასების სისტემასა და მის კომპონენტებს.

ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ნანა ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ მათ მიერ შედგენილი იყო 2010-2011 წლის სამუშაო გეგმა, რომელშიც მოცემული იყო სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მათ დამტკიცებული ჰქონდათ სკოლის გრძელვადიანი სამუშაო გეგმა. გეგმაში გაწერილი ერთ-ერთი ღონისძიების დასრულების თარიღად მითითებული იყო 2013 წელი. სხვა ღონისძიებების დასრულების თარიღი გეგმაში აღნიშნული არ იყო. აღნიშნული ხარვეზებიც უკვე გამოსწორებულია. შესაბამისად, სკოლას უკვე ჰქონდა 6 წლიანი სამოქმედო გეგმა, კონკრეტული თარიღების მითითებით.

ფართოთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა გამარტა, რომ სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანს“ სურდა №65-ე ბაგა-ბაღის შენობის შეძენა და ელოდებოდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებული აუქციონის ჩატარებას. დირექტორის მოადგილემ ელენე გონგაძემ აღნიშნა, რომ აუქციონის ჩატარება იგეგმებოდა 2011 წლის 12 ოქტომბერს. აღნიშნულ აუქციონზე სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანი“ გეგმავდა ბაგა-ბაღის მთლიანი შენობის შესყიდვას. ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე დაინტერესდა, თუ რატომ იყვნენ დარწმუნებულები დაწესებულების წარმომადგენლები, რომ აუქციონი მათ სასარგებლოდ დამთავრდებოდა. ნანა ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ მათ ბანკიდან სესხი ჰქონდათ გამოტანილი და ყველაფერი ჰქონდათ მომზადებული იმისათვის, რომ შენობა აუქციონის წესით შეესყიდათ.

საბჭოს წევრი დავით კახიაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული 320 კვ. მ.- ფართზე №65-ე ბაგა-ბაღთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულება. ნანა გონგაძემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულება საჯარო რეესტრში იყო დარეგისტრირებული, რაც ექსპერტმაც დაადასტურა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სველი წერტილები და კიბე, რომლითაც რეალურად სკოლა სარგებლობდა, ხსენებულ 320 კვ. მ.-ში არ შედიოდა. ნანა ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ კიბე შესაძლებელია მართლაც არ შედიოდა 320 კვ. მ.-ში, თუმცა სველი

წერტილები შედიოდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფართში. ავტორიზაციის ექსპერტმა ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის დირექციის მიერ წარმოდგენილი ნახაზით იქნა შემოწმებული სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ მატერიალური რესურსი, რომლის მიხედვითაც, კიბე და სველი წერტილები არ შედიოდა სკოლის სარგებლობაში არსებულ ფართში. საბჭოს თავმჯდომარე დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა საბჭოსათვის წარედგინათ საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდებოდა სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ მიერ 320 კვ. მ. -ის ფლობის უფლება. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი მათ თან არ ჰქონდათ. ნანა ზურაბიშვილმა ასევე განმარტა, რომ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულ 320 კვ. მ.-ში სველი წერტილები და კიბე შედიოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად მან ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შენობის აზომვითი ნახაზი, სადაც მონიშნული იყო სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი.

ცენტრის დირექტორის მოადგილე პეტრე წურწუშია დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო წარმოდგენილი სკოლისა და ბაგა-ბაღის ფართის გამიჯვნის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან იგეგმებოდა აღნიშნული შენობის მთლიანი შესყიდვა, დოკუმენტურად ფართის გამიჯვნა აღარ მომხდარა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტმა დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებობდა 8 შენიშვნა. ნანა ზურაბიშვილმა განმარტა, რომ მათ ყველა შენიშვნა უკვე გამოსწორებული ჰქონდათ. კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, საგანმანათლებლო პროგრამაში 8 ხარვეზის გამოსწორება ნიშნავდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დაწერას.

ცეკვასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, ცეკვა სასწავლო ბადეში იყო მოცემული. დამატებითი მომსახურების სახით სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობდა სხვადასხვა წრეებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა სკოლაში არსებული დოკუმენტაციის დამტკიცება და აღრიცხვა. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ატესტატების გაცემის წიგნი იყო სათანადო წესით ხელმოწერილი და ბეჭედდასმული. ნანა ზურაბიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა ატესტატების გაცემის წიგნის ქსეროასლი. სკოლის დირექტორის განმარტებით, ატესტატების წიგნში ატესტატების მიმღები პირების ხელმოწერების არარსებობის მიზეზი იყო ის, რომ სკოლას ჯერ ატესტატები არ ჰქონდა გაცემული.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა პოზიცია გააჩნდათ დაწესებულების წარმომადგენლებს ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ შენიშვნებზე.

ნანა ზურაბიშვილმა განმარტა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა თანამშრომელთა შერჩევის წესი. თანამშრომლები სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანში“ მიიღებოდნენ ტესტირების საფუძველზე. ტესტირება ტარდებოდა ზოგად უნარებსა და იმ საგანში, რომლის მასწავლებლადაც დაინიშნებოდა კონკრეტული პირი. საბჭოს წევრი ლალი ლოღელიანი დაინტერესდა, წარუდგინეს თუ არა ავტორიზაციის ექსპერტებს აღნიშნული ტესტები, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენლებისგან მიიღო დადებითი პასუხი. აღნიშნული ფაქტი ასევე დაადასტურა ექსპერტმა ლიანა კობესაშვილმა. მისი განმარტებით, ტესტები წარმოდგენილი იყო, თუმცა შინაგანაწესში მოცემული არ იყო თანამშრომელთა შერჩევის პირობები. კახი ყურაშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა სავალდებულო, რომ თანამშრომელთა შერჩევის წესები მოცემული ყოფილიყო სკოლის შინაგანაწესში. ლიანა კობესაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ აღნიშნულის არსებობა არ იყო სავალდებულო. საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, მთავარია, რომ დაწესებულებას რეალურად ჰქონდეს თანამშრომელთა შერჩევის წესი შემუშავებული და სრულიად არ არის სავალდებულო, ეს წესები გაწერილი იყოს შინაგანაწესში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა დადებული შრომითი ხელშეკრულებები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ნანა ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ შრომითი ხელშეკრულებები ყველასთან იყო გაფორმებული. სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ შრომითი ხელშეკრულებები დადებული ჰქონდათ იმ პედაგოგებთან, რომლებსაც საათობრივი დატვირთვა ჰქონდათ. თუ კი ამ პედაგოგებს შეთავსებული ჰქონდათ ადმინისტრაციული თანამდებობაც, მაშინ მათთან მეორე შრომითი ხელშეკრულება კი არ იდებოდა, არამედ ისინი ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე. საბჭოს თავმჯდომარე შეეკითხა ლიანა კობესაშვილს, არსებობდა თუ არა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებები. ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი ბრძანებები არსებობდა.

კახი ყურაშვილის განმარტებით, ამ შემთხვევაში, მისი აზრით, სტანდარტთან შეუსაბამობას ადგილი არ ჰქონდა, ვინაიდან შრომით ურთიერთობაში, შრომითი ხელშეკრულების დადების ნაცვლად შესაძლებელი იყო გამოცემულიყო თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანება. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული 3.3 შენიშვნაც არ იყო გასათვალისწინებელი. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმაც გაიზიარეს საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, მოიცავდა თუ არა ერთობლიობაში სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები სასწავლო გეგმის ყველა კომპონენტს.

ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ იყო.

ელენე გონგაძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან სკოლაში სსსმ მოსწავლე არ იყო, მათ შემუშავებული ჰქონდათ მხოლოდ ზოგადი ხედვა იმისა, თუ როგორ იმოქმედებდნენ იმ შემთხვევაში, თუ ეყოლებოდათ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა იყო თუ არა აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებული. ნანა ზურაბიშვილმა განმარტა, რომ დოკუმენტი პედაგოგებზე არ იყო განხილული და გატანილი, თუმცა დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ. ლიანა კობესაშვილმა დაამატა, რომ სკოლის მიერ წამოდგენილი იყო ზოგადი სახელმძღვანელო, რომელიც ეხებოდა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს. მასში მოცემული არ იყო სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ კონცეფცია სსსმ მოსწავლეებთან მიმართებით.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ თუ კი სკოლაში მოვიდოდა სსსმ მოსწავლე, მაშინ მისთვის უფრო კონკრეტულად შეიმუშავებდნენ სპეციალურ პროგრამას.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ თუ კი სკოლას სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით გააჩნია ზოგადი გეგმა ან ხედვა, მაშინ სტანდარტის დარღვევას არა აქვს ადგილი. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, აღნიშნული შენიშვნა იყო არაარსებითი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს ლიანა კობესაშვილს, სთავაზობდა თუ არა სკოლა მოსწავლეებს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, რომელიც სკოლაში ტარდებოდა, სასწავლო ბაღეში არ იყო აღნიშნული. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს სკოლის მისიას. კახი ყურაშვილი დაინტერესდა, სავალდებულო იყო თუ არა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების გაწერა სასწავლო ბაღეში. ლიანა კობესაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ამის ვალდებულება არ არსებობდა. შესაბამისად, აღნიშნული შენიშვნა ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა არ გაიზიარეს.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას დამრიგებლის პორტფოლიოები. ნანა ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ მათ სადამრიგებლო პორტფოლიოები ჰქონდათ და ასევე გააჩნათ სპეციალური დოკუმენტი, რომელიც

განსაზღვრავდა პორტფოლიოში შემავალი დოკუმენტაციის ნუსხას. საბჭოს წევრმა დავით კახიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, ჰქონდა თუ არა სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანს“ სადამრიგებლო პროგრამა. ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ სკოლას სადამრიგებლო პროგრამა ჰქონდა, თუმცა იგი არ იყო დამტკიცებული.

დავით კახიაშვილი დაინტერესდა, სკოლაში არსებული შეფასების სისტემა შეესაბამებოდა თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის შეფასების სისტემა შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შემუშავებული სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. ელენე გონგაძემ განმარტა, რომ მათ ექსპერტებს წარუდგნეს მასწავლებელთა მიერ შევსებული ურთიერთდასწრების ფორმები და კითხვარები. ასევე სისტემატურად ხდებოდა თითოეული საგანის შესწავლა და შემდგომ შედეგები განიხილებოდა მინი პედსაბჭოზე, სადაც დგებოდა შესაბამისი ოქმები. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას მინი პედსაბჭოს ოქმები გააჩნდა. ლიანა კობესაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ ამ შემთხვევაში შენიშვნა მდგომარეობდა აღნიშნული დოკუმენტაციის დამტკიცებაში. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში შენიშვნა იყო არაარსებითი, რადგან სკოლას რეალურად ჰქონდა სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებობდა მხოლოდ ერთი სახის შენიშვნა, კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სათანადო წესით დამტკიცებული.

კორესპონდენციის აღრიცხვის თაობაზე გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით ნანა ზურაბიშვილმა დაამატა, რომ შემოსული და გასული დოკუმენტაცია ცალ-ცალკე ჰქონდა შენახული. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას კორესპონდენციის ჟურნალი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ კორესპონდენციის ჟურნალი ჰქონდათ, რომელიც იყო ბეჭედადსმული. დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წარუდგინეს გასული და შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალის ქსეროასლი.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ცეცხლმაქრები. ნანა ზურაბიშვილმა განმარტა, რომ ქალაქის მერიამ №65-ე ბაგა-ბაღს აჩუქა ცეცხლმაქრები. თავის მხრივ ბაგა-ბაღმა 2 ცეცხლმაქრი აჩუქა სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანს“. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მათ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ ჰქონდათ.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანს“ დადებული ხელშეკრულება №65-ე ბაგა-ბაღთან სპორტული მოედნით სარგებლობის თაობაზე. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ასეთი ხელშეკრულება არსებობდა. კახი ყურაშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული, თუ როდის, რომელ საათებში სარგებლობდა აღნიშნული მოედნით სკოლა და როდის - ბაგა-ბაღი. ნანა ზურაბიშვილის განმარტებით, ხელშეკრულება დროის გადანაწილების თაობაზე ინფორმაციას არ შეიცავდა.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ, ვინაიდან ელექტროენერგიის უქონლობის გამო ვერ ხერხდებოდა სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ მიერ №65-ე ბაგა-ბაღთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დადგენა, შეუძლებელი იყო დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე შესვენების გამოცხადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

2011 წლის 6 ოქტომბრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოცხადდეს შესვენება და სხდომა განახლდეს 2011 წლის 10 ოქტომბერს, 14:00 საათზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა 2011 წლის 10 ოქტომბერს, 14:00 საათზე.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც, სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანისა“ და №65-ე ბაგა-ბაღს შორის, 320 კვ. მ.-ზე დადებული ქირავნობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში იყო რეგისტრირებული. დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს ასევე წარუდგინა სასკოლო სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტების ქსეროასლები.

დავით კახიაშვილი დაინტერესდა, კონტროლდებოდა თუ არა გარე და შიდა პერიმეტრი ვიდეომეთვალყურეობის კამერების მეშვეობით. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას ამჟამად აქვს 22 ვიდეო კამერა, რომლითაც კონტროლდება როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრი. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა ხელშეკრულება კამერების შესყიდვისა და დამონტაჟების თაობაზე.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა, შეესაბამებოდნენ თუ არა ეს კამერები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143-ე ბრძანებით დამტკიცებული „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის“ მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული ვიდეო კამერების პარამეტრების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ მიერ შესყიდული კამერები შეესაბამებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ნანა ზურაბიშვილმა საბჭოს წარუდგინა №65-ე ბაგა-ბაღის მიერ სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანისათვის“ ცეცხლმაქრების ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე წარმოდგენილი იქნა №65-ე ბაგა-ბაღთან დადებული ხელშეკრულება სპორტული მოედნით სარგებლობის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ირმა ნოზაძემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ როდის, დროის რა პერიოდში იყო უფლებამოსილი სკოლა, ესარგებლა აღნიშნული სპორტული მოედნით. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ მიერ ვერ დასტურდებოდა სპორტული მოედნის იურიდიული მფლობელობა. ხელშეკრულების თანახმად №65-ე ბაგა-ბაღს ნებისმიერ დროს შეეძლო სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანისათვის“ უარი ეთქვა სპორტული მოედნის გამოყენებაზე, ვინაიდან მათ შორის დადებული ხელშეკრულებით გადანაწილებული არ იყო სპორტული მოედნით სარგებლობისა და გამოყენების დრო.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტთან სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ შესაბამისობის საკითხზე და საბჭოს დამსწრე წევრთა ნახევარმა მიიჩნია, რომ მატერიალური რესურსის ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 3 (მათ შორის, საბჭოს თავმჯდომარე)

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, სპს - კერძო საშუალო სკოლა „დავითიანი“ - ნინო ჩოხელს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

15. შპს - „გორდა“ სკოლა - ლიცეუმ „სხივის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა - ფართი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

სკოლას არა აქვს შემუშავებული ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად აუცილებელი სასწავლო გეგმა. პროგრამის შემუშავება და შესაბამისი გარემო პირობების შექმნა გათვალისწინებულია ექვსწლიან სამოქმედო გეგმაში.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს - „გორდა“ სკოლა-ლიცეუმ „სხივი“ ფლობს ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის ქ. №3-ში მდებარე ფართს. აღნიშნული ფართი წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას (რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერითაც). ქალაქ თბილისის მთავრობის 2002 წლის 24 იანვრის N01.20.18 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის მერიის განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურს უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა გლდანი-ნაძალადევის რაიონში თ. ერისთავის ქ. N3-ში მდებარე შენობაში განთავსებული 839 კვ. მ. არასაცხოვრებელი ფართობი, მ. შ. 150 კვ. მ. - სარდაფი, გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის განსათავსებლად. უზუფრუქტი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

შპს - „გორდა“ სკოლა-ლიცეუმ „სხივი“ 2010 წლის 1 სექტემბერს 2011 წლის 15 სექტემბრამდე ვადით დადებული აქვს N01/00გ ქირავნობის ხელშეკრულება ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან. აღნიშნული ხელშეკრულებით ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მფლობელობაში არსებული 839 კვ. მ. ფართიდან, ქირავნობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 345 კვ. მ. ფართი. აღნიშნული ქირავნობის ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის შესაბამისად, ურუფრუქტით დატვირთული ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურისადმი 2011 წლის 24 ივნისს მიწერილი წერილის (N179) ასლი, სადაც ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურისგან ითხოვს ნაძალადევის ფილიალში არსებული 345 კვ. მ. ფართის სარგებლობის უფლებით გაცემაზე თანხმობას. თანხმობის წერილი ექსპერტთა ჯგუფისათვის წარგენილი არ ყოფილა.

2.2 დაწესებულებას არ გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია. თუმცა, დაწესებულებას 2011 წლის 18 ივლისს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (N გეო007) შპს - ჯეო დეკორთან, რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომია) 208 დასახელების აღჭურვილობის დაწესებულებისათვის მიწოდების ვალდებულებას.

საქონლის მიწოდების ბოლო ვადად ხელშეკრულებით განსაზღვრულია 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე ავანსის მიღების დღიდან (პუნქტი 12.1), ხოლო ავანსად გათვალისწინებულია ხელშეკრულების ღირებულების 10% (პუნქტი 6.1) ხელშეკრულებაში არ არის მითითებული ავანსის გადახდის თარიღი. ერთ-ერთი დამფუძნებლის, ლალი გორდამის თქმით, არსებობს მომწოდებელ ორგანიზაციასთან სიტყვიერი შეთანხმება, 2011 წლის ივლისის ბოლომდე ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ავანსის სახით გადახდის შესახებ.

2.3 სკოლაში არსებობს წიგნადი ფონდი, რომელიც არ არის დახარისხებული. ფონდი მოიცავს როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ასევე გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. სკოლას გამოყოფილი აქვს ოთახი ბიბლიოთეკისათვის, სადაც მიმდინარეობს რემონტი და მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება ბიბლიოთეკის განთავსება.

2.4 სკოლაში არ არის ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. კერძოდ, არ არის მათთვის უზრუნველყოფილი სპეციალური პანდუსებით დაწესებულებაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობა. დაწესებულების ინლუზიური სწავლებისათვის სათანადო ბაზით აღჭურვას ითვალისწინებს სკოლის გრძელვადიანი (ექვსწლიანი) განვითარების გეგმა.

2.5 სკოლას აქვს ორი უსაფრთხოების კამერა, რომელიც დროებით ჩამოხსნილია და, შესაბამისად, არ შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლამ ფართთან დაკავშირებული პრობლემა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოაგვარა და ზეპირი ფორმით იშუამდგომლა, ხარვეზების განუხილველად საკითხის კენჭისყრაზე დაყენებაზე.

აღნიშნული შუამდგომლობა საბჭომ გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „გორდა“ სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6


გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „გორდა“ სკოლა-ლიცეუმ „სხივს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 14:55 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი


გ. სიმონია